საქართველოს პროკურატურის

2022 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 1
სისხლისსამართლებრივი დევნა 1
სრულწლოვანთა განრიდება 6
აღკვეთის ღონისძიებები 9
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 17
პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა 24
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 25
პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 39
გამოძიების დაწყება 39
სისხლისსამართლებრივი დევნა 42
განაჩენები 45
ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა 45
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია 45
ტრანსნაციონალური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა 50
კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 55
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 59
არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა 70
იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება 74
ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა 76
ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 79
ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა 81
ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული 83
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 94
შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 97
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა 100
ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა 103
საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა 106
ანალიტიკური/კვლევითი საქმიანობა 106
სახელმძღვანელო მითითებები 108

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 109
გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება 110
სტაჟიორთა კონკურსი 111
საკვალიფიკაციო გამოცდა 112
პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება 113
საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები 130
კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო 130
სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო 131
რანგირების საბჭო 132
სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო 132
გენერალური ინსპექციის მუშაობა 134
საერთაშორისო თანამშრომლობა 135
მნიშვნელოვანი შეხვედრები 136
საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა 137
საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 139
საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები 140
ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა 141
ექსტრადიცია 141
საზოგადოებასთან ურთიერთობა 142
მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 142
საჯარო ინფორმაციის გაცემა 146
საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება 147
ციფრული ტრანსფორმაცია 148
სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება 149
საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება 150
2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 152

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე-მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის წესის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრორკურატურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ასევე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროკურატურისთვის პრიორიტეტულ ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები, ცალკეულ დანაშაულებზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, ანალიტიკაზე ორიენტირებული ორგანიზაციული მართვის მოდელი და ციფრული ტრანსფორმაცია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, მათი მოტივაციის გაძლიერება, მათთვის მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება და ნდობის ამაღლება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 22 365 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები წლების მიხედვით ასეთია:



2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 151-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. 2019-2021 წლებში პირველ და მეორე ადგილებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები იყო, 2022 წელს კი მეორე ადგილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იკავებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით
(2022 წელი)




სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით
(2021 წელი)
177-ე მუხლი
3807 (15.6%)
126¹ მუხლი
2622 (10.8%)
151-ე მუხლი
2190 (9%)
126-ე მუხლი
1883 (7.7%)
260-ე მუხლი
1459 (6%)
273¹ მუხლი
1144 (4.7%)
180-ე მუხლი
986 (4.1%)
276-ე მუხლი
689 (2.8%)
362-ე მუხლი
680 (2.8%)
265-ე მუხლი
617 (2.5%)
236-ე მუხლი
602 (2.5%)
381¹ მუხლი
472 (1.9%)
238¹ მუხლი
455 (1.9%)
120-ე მუხლი
416 (1.7%)
მე-200 მუხლი
401 (1.6%)
187-ე მუხლი
351 (1.4%)
344-ე მუხლი
285 (1.2%)
381-ე მუხლი
278 (1.1%)
182-ე მუხლი
266 (1.1%)
178-ე მუხლი
216 (0.9%)
210-ე მუხლი
188 (0.8%)
117-ე მუხლი
186 (0.8%)
179-ე მუხლი
176 (0.7%)
150-ე მუხლი
153 (0.6%)
118-ე მუხლი
144 (0.6%)
192-ე მუხლი
138 (0.6%)
214-ე მუხლი
132 (0.5%)
108-ე მუხლი
128 (0.5%)
353¹ მუხლი
126 (0.5%)
248¹ მუხლი
124 (0.5%)
185-ე მუხლი
120 (0.5%)
150¹ მუხლი
119 (0.5%)
353-ე მუხლი
114 (0.5%)
მე-300 მუხლი
113 (0.5%)
284-ე მუხლი
104 (0.4%)
287¹ მუხლი
99 (0.4%)
194-ე მუხლი
93 (0.4%)
სხვა
2250 (9.2%)

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით
(2020 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით
(2019 წელი)



სრულწლოვანთა განრიდება

საქართველოს პროკურატურის როლი უმნიშვნელოვანესია კანონის უზენაესობის დაცვაში. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ საზოგადოებაზე. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა, კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, ხელმძღვანელობს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თითოეულ შემთხვევაში აანალიზებს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და გარკვეული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ პრიორიტეტულად ხდება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება.

ზოგადად განრიდება ძირითადად გამოყენებულია ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას, უმთავრესად მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს. განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

2022 წელს პროკურატურის თანამშრომლებისთვის მომზადდა სახელმძღვანელო მითითებები „სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე“ და „სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 273[1] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე განრიდების გამოყენების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაციები შედგენილი იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ერთგვაროვანი და ამავდროულად სწორი პრაქტიკის დანერგვას, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინებას. რეკომენდაციების დანერგვის მიზანი არის რომ ნაკლები რესურსი დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშულების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ დევნაზე, დროულად იქნას მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება და, ამავდროულად, მხედველობაში იქნეს მიღებული საჯარო ინტერესი

2022 წლის განრიდების სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად არის გაზრდილი განრიდებულ პირთა რაოდენობა, რაც რა თქმა უნდა განაპირობა ახალი მითითებების დანერგვამ.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



2022 წელს განრიდდა 3031 სრულწლოვანი (21 წელს ზევით), მათგან 2691 პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო 340 პირი - მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. აღსანიშნავია, რომ დევნის ალტერნატიული მექანიზმი უმეტესწილად გამოიყენება არაძალადობრივი და გაუფრთხილებელი დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში.

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად გამოიყენება განრიდების მექანიზმი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ასე ნაწილდება:[1]

[1] განრიდებულ პირთა რაოდენობა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით დათვლილია შემდეგი პრინციპით: თუ საქმეში ფიგურირებს ორი და მეტი დანაშაული და განსარიდებელი პირი ერთია, თითოეულ მუხლზე პირთა რაოდენობა ფიქსირდება ცალ-ცალკე.



მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდება ყველაზე ხშირად შემდეგ მუხლებზე გამოიყენება:



აღკვეთის ღონისძიებები

წარმოდგენილი ანგარიშისთვის პროკურატურა, ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნით, დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებს, რომელიც ასახავს ინფორმაციას, როგორც განხილული, ისე, საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის დამტკიცების გამო, განუხილველად დატოვებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობების შესახებ.

პირველ რიგში, საქართველოს პროკურატურის მიერ დამუშავდა მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. კერძოდ, დათვლილი იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობები, რომელიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ.

სასამართლოს მიერ განხილული აღკვეთის ღონისძიებების შუამდგომლობების რაოდენობა და, მათ შორის, საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა თანაფარდობა შემდეგია:



საქართველოს პროკურატურის მიერ ასევე დამუშავდა პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი ის შუამდგომლობები, რომლებიც არ იქნა სასამართლოს მიერ განხილული ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მონაცემები შემდეგია:



სასამართლოს მიერ განხილული და, ასევე, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზეზით განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



დამუშავდა ასევე 2015-2022 წლების განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლები. კერძოდ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა რაოდენობას დაემატა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, ასევე, დაემატა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განრიდებამდე იყო დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურას სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



გაანალიზდა ასევე 2014-2022 წლებში ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები, როგორც სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების, აგრეთვე, იმ შუამდგომლობების მიხედვით, რომლებშიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, განუხილველი დარჩა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ასევე მნიშვნელოვანია საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის თანაფარდობა ოჯახურ და არაოჯახურ დანაშაულთა საერთო რაოდენობიდან. ამ მონაცემთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2014-2020 წლებში, ოჯახურ და არაოჯახურ დანაშაულთა ფარგლებში, ოჯახურ დანაშაულებზე მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2021-2022 წლებში კი წინა წლებთან შედარებით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა.

რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, 2014-2018 წლებში სხვა დანაშაულებზე შეინიშნებოდა პატიმრობის მოთხოვნის კლება, 2019-2020 წლებში გამოვლინდა მცირედ ზრდის ტენდენცია, 2021-2022 წლებში კი ეს მაჩვენებელი მცირედით შემცირებულია.





რაც შეეხება პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2010 წლიდან მონაცემები შემდეგია:



აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ 2021-2022 წლებში გაუმჯობესებულია პროკურორთა მხრიდან შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხი, ვინაიდან გაზრდილია შუამდგომლობათა სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო შემცირებულია როგორც ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ასევე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე დატოვების შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი. უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობათა დასაბუთების სტანდარტის გაზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების თემატიკაზე ჩატარებული კასკადური ტრენინგებით, რომელთა მიზანი იყო შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გაზრდა ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

რაც შეეხება მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებლებს, 2010 წლიდან დღემდე მონაცემები შემდეგია:



ისევე, როგორც აღკვეთის ღონისძიებათა დაკმაყოფილების საერთო მაჩვენებლებში, ამ შემთხვევაშიც, 2021-2022 წლებში გაზრდილია პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობათა სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო, ნაწილობრივ დაკმაყოფილების და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე დატოვების შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია.

რაც შეეხება საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებელს, 2014-2022 წლებში მონაცემები შემდეგია:

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 16 843 პირის მიმართ.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



აღსანიშნავია, რომ 2022 წელს 16 843 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 70,9% დასრულებულია საპროცესო შეთანხმებით. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ 2022 წელს შენარჩუნდა საპროცესო შეთანხმებით საქმეთა დასრულების ზრდის დინამიკა. 2014 წლიდან დღემდე არსებითად დასრულებულ საქმეებთან შედარებით, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა.

არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა დინამიკა წლების მიხედვით შემდეგია:



აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, წინა წლების მსგავსად, მაღალია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. საპროცესო შეთანხმების სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე) გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და, ამავდროულად, ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსურ რესურსს.



გრაფიკზე არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ 2022 წელს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა წლის განმავლობაში გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებათა 61.8%, რაც წინა ოთხი წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია. აღნიშნულს მნიშვნელოვნად განაპირობებს პროკურატურის მხრიდან 2022 წელს განრიდების გამოყენების შესამჩნევი ზრდა.

2022 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 10,5%-ის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 5,1%-ის მიმართ – ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით ამგვარია:



2022 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას, სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელმა შეადგინა 55,9%.



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობას, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 31 693 751 ლარი. ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



2022 წელს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელმა შეადგინა 15,8 %.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა 2022 წელს გამოყენებულ იქნა 17,6% -ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



არსებითი განხილვისას, თავისუფლების აღკვეთა 2022 წელს გამოყენებულ იქნა 37,6%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

არსებითი განხილვისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



კვლავ გრძელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება ძალადობრივი დანაშაულების[2] ჩამდენი პირების მიმართ:



[2] მოიცავს მცდელობებს და დამთავრებულ დანაშაულებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული არიან ბრალდებულები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა და მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის სახედ მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში 2022 წელს მოთავსებული ბრალდებული და მსჯავრდებული პირების რაოდენობა იყო - 9542, მათ შორის 326 ქალი.

რაც შეეხება წინა წლების მონაცემებს შედეგები ასეთია:



❖ *2010 და 2011 წლებში ქალი ბრალდებულების და მსჯავრდებულების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება.

როგორც მონაცემებით ჩანს, 2010-2012 წლების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა ფაქტიურად 50-60% არის შემცირებული.

რაც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვანი პირების რაოდენობას, 2022 წლის მონაცემები ასეთია - 45 პირი, მათ შორის 1 ქალი.

წინა წლების მონაცემები კი შემდეგია:



ამდენად, ანგარიშში ასახული მონაცემები ნათლად ცხადყოფს, რამდენად არის შემცირებული ბრალდებული პატიმრების და თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბოლო წლებში, ბავშვზე მორგებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ არაერთი ღონისძიება იქნა გატარებული.

გაუმჯობესებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროცედურების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხი. არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებშია უზრუნველყოფილი.

2010-2022 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის 6770 პირია განრიდებული, საიდანაც 4156 არის არასრულწლოვანი, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი არის 2614.

2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 585 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 590 პირის მიმართ.

21 წლამდე ასაკის პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები გამოიყენება. აღნიშნული მექანიზმების გამოიყენება უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, ვინაიდან განრიდების მექანიზმი ეფუძნება არასრულწლოვნის საჭიროებების მაქსიმალურ გათვალისწინებას და ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მართლშეგნების ამაღლებას.

2022 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 927, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 585(63%) არასრულწლოვანი.

რაც შეეხება წინა წლებს, მონაცემები ამგვარია:





2022 წელს განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ შეადგენდა 728 პირს, საიდანაც პროკურორებმა განრიდების გადაწყვეტილება 585 (80%) არასრულწლოვნის მიმართ მიიღეს. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“ კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ და არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას

იღებენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შეფასდება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ სწორედ განრიდება უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

2022 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (728) , რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



2020 წელს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 75% იყო. 2021 და 2022 წლებში კი 80%-ია, რაც ცალსახად აჩვენებს, რომ განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია.

2022 წელს კვლავ დაბალია განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. განრიდებული 585 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა დაიწყო მხოლოდ 19 (3%) არასრულწლოვნის მიმართ.

2022 წელს მაღალია მძიმე დანაშაულებზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი. კერძოდ 2022 წელს განრიდებული 585 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 324 არასრულწლოვანს, ანუ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 55%-ს.
რაც შეეხება მონაცემებს წლების მიხედვით, ასეთია:

- 2017 წელს, სულ განრიდებული 475 არასრულწლოვანი პირიდან, მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო განრიდება გამოყენებული იყო 220 პირის მიმართ, რაც განრიდებული არასრულწლოვნების 46%-ს წარმოადგენდა.
- 2018 წელს 497 არასრულწლოვნიდან 199-ს წარმოადგენდა, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 40% იყო.
- 2019 წელს სულ განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 197 არასრულწლოვანს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 45% იყო.
- 2020 წელს განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 121-ს, რაც საერთო რაოდენობის 41%-ს წარმოადგენდა.

➢ 2021 წელს 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 195 არასრულწლოვანს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 54%-ია.

2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, განრიდება უმეტესად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. 585 განრიდებული არასრულწლოვნიდან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 407 პირს (70%).

საქართველოს პროკურატურაში მოქმედებს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეების დოკუმენტურ მონიტორინგს, გამოძიების დაწყების ეტაპიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას დროულად იღებენ. დაბალია სასამართლოდან საქმეების განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წელს განრიდებული 585 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 18 (3%) შემთხვევაში დაბრუნდა.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელია. 2022 წლის მონაცემების მიხედვით განრიდებული 585 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 21-მა პირმა (3,5%) ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განმეორებითი დანაშაული.

განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან 3-წლიანი პერიოდულობით ახორციელებს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშულის კვლევას.

განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მორიგი კვლევა ჩატარდა სწორედ 2022 წელს და კვლევის შედეგების თანახმად, სულ 2010-2021 წლებში განრიდებული 3571 არასრულწლოვნიდან ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ 3 წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაული 436-მა (12%) პირმა ჩაიდინა.

რაც შეეხება არასრულწოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელს, 2022 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 30.8% შეადგინა:

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული არასრულწლოვნებისა და პროკურორის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების ჯამური მონაცემებიდან, 2022 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტულმა მაჩვენებელმა 7,9% შეადგინა:

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას
განრიდებულ პირებსა და პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2022 წელს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საერთო რაოდენობიდან პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 24,1% შეადგინა:



განრიდებული არასრულწლოვნებისა და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური მონაცემებიდან, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა აღკვეთის ღონისძიება, 2022 წელს პატიმრობის შეფარდების პროცენტულმა მაჩვენებელმა 6,1% შეადგინა:



რაც შეეხება არასრულწლოვნების მიმართ გამოტანილი განაჩენების რაოდენობას, 2022 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 192 არასრულწლოვნის მიმართ.



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით კი ასე ნაწილდება:



საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლდა 10, 2016 წელს - 6, 2017 წელს - 3, 2018 წელს - 9, 2019 წელს - 10, 2020 წელს

არასრულწლოვანთა მიმართ გამამართლებელი განაჩენი ასევე არ გამოტანილა, 2021 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 1 საქმეზე 3 არასრულწლოვანის მიმართ, ხოლო 2022 წელს - 5 პირის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



არასრულწლოვანთა მიმართ, არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილ განაჩენებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განხილული და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების საერთო რაოდენობიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამური მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი

(მოიცავს ჯამურ ინფორმაციას საპროცესო შეთანხმებისა და არსებითად დასრულებული საქმეების შესახებ)



რაც შეეხება არსებითად განხილულ, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამურ მაჩვენებელს, აღნიშნული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი

(მოიცავს ჯამურ ინფორმაციას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საერთო რაოდენობიდან - საპროცესო შეთანხმება, არსებითად დასრულებული საქმეები და განრიდებული პირები)



საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების სისტემის მონაწილე უწყებაა. 2022 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ გადამისამართდა 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი 52 და 14-დან 18 წლამდე ასაკის 19 არასრულწლოვანი, რომელთა მიმართ პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე უარი თქვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე განრიდების გამოყენების გარეშე.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმშიც. 2022 წელს, საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 47 არასრულწლოვანი, საიდანაც, 19 არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა სექსუალური ძალადობის, 12 არასრულწლოვნის მიმართ - ფიზიკური ძალადობის, 12 არასრულწლოვნის მიმართ - ფსიქოლოგიური ძალადობის, 2 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის, ხოლო 2 არასრულწლოვნის მიმართ - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები.

საქართველოს პროკურატურის წარმატება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, ასევე განაპირობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციის სტანდარტის უზრუნველყოფამ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციას აქვს მუდმივი და განგრძობადი ხასიათი. დღეის მდგომარეობით პროკურატურას ჰყავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული 104 მენეჯერი, 183 პროკურორი, 27 გამომძიებელი და 12 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

ბოლო წლებში არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებსა და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული, ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის დანერგვის მიზნით.

რეკომენდაციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სწორი იმპლემენტაციის, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, პროკურორებისათვის 2016 წლიდან მოქმედებდა სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც 2022 წელს განახლდა და ასევე შემუშავდა ახალი მითითებები. განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე არსებული მითითებების სისტემატიზაცია და მომზადდა კრებული. კრებული აერთიანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ მითითებებს, როგორიცაა: სპეციალიზაცია, ნასამართლობა, დაცვის უფლება, ინდივიდუალური შეფასების განხორციელების წესი, არასრულწლოვნის პირველი წარდგენა სასამართლოში და პატიმრობის ვადა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა, არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სპეციფიკა, განრიდება/განრიდება-მედიაცია, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე ბრალდებაზე უარის თქმა, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე გასათვალისწინებელი საკითხები და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირება.

კრებულში შევიდა, როგორც უკვე მოქმედი თუმცა განახლებული რეკომენდაციები, ასევე, შემუშავებულ იქნა რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო მითითება, მათ შორის, „უფასო იურიდიული დახმარებისა და სავალდებულო დაცვის შესახებ“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საპროცესო წარმომადგენლის ჩართვის შესახებ“, „სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე არასრულწლოვნის მიმართ ბრალდებაზე უარი დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე.“

განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა

2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე, 2022 წელს განხორციელდა განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა. კვლევაში წარმოდგენილია იმ გარემოებების ანალიზი, რომლებიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით

მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და შესაძლოა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებს. კერძოდ, გაანალიზებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლები, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, განათლება, ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობა, მშობლებთან ცხოვრების ფაქტი, ძალადობრივი გამოცდილება, მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულება, საზოგადოებისადმი დამოკიდებულება და ა.შ. კვლევა სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი

არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების ფუნქციონირებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უწყებათშორისი კოორდინაციის გაძლიერების მიზნით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომების დანერგვის და ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმების გაძლიერების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ყოველწლიურად აორგანიზებს ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოების შეხვედრებს. არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოები აერთიანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, სოციალურ მუშაკებს, მედიატორებს, მუნიციპალიტეტების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებს. ადგილობრივი (რეგიონული) პრინციპის გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით შექმნილია რვა მულტიდისციპლინური ჯგუფი: თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში.

2022 წლის დეკემბერში, ონლაინ ფორმატში, არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 5 შეხვედრა გაიმართა, რომელმაც ყველა რეგიონი მოიცვა. შეხვედრის მონაწილეებს პროკურატურის მხრიდან წარედგინათ მოხსენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ასევე, უწყებების მიხედვით მიეწოდათ ინფორმაცია გასულ შეხვედრებზე განხილული საკითხების თაობაზე. შეხვედრაში მონაწილე უწყებების წარმომადგენლებმა განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში თითოეული უწყების შიგნით, აგრეთვე პარტნიორ უწყებებთან კომუნიკაციის პროცესში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები, იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე. აღნიშნული ინფორმაციის მულტიდისციპლინურ ჯგუფებში გაზიარება შესაძლებლობას იძლევა მოხდეს შედეგზე ორიენტირებული მიდგომებით არსებული გამოწვევების გაანალიზება და დაიგეგმოს რელევანტური ღონისძიებები.

ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი

ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 სექტემბრის №1825 განკარგულებით დამტკიცდა „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის“ (ბარნაჰუსი)

კონცეფცია. საქართველოში „ბარნაჰუსის“ მოდელის ცენტრის დაარსების მიზნით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ჯერ კიდევ 2019 წელს შეიქმნა, რომელსაც დაევალა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის შემუშავება. პროკურატურა საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად იყო ჩართული კონცეფციის შექმნისა და მისი იმპლემენტაციის პროცესში. საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა პროკურატურისა და სხვა უწყებებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შექმნაზე. მოხდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავებისას პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გათვალისწინება, სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მისადაგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმებთან. ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის ამოქმედებამდე გენერალური პროკურორის 2022 წლის 2 მარტის №36-გ ბრძანებით დამტკიცდა „სპეციალური ოპერაციული პროცედურები“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის სახელმძღვანელო მითითებას, თუ როგორ უნდა წარიმართოს თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებსა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრს შორის.

სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესაბამისად, პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი ვალდებულია სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლი და დაზარალებული ბავშვი გადაამისამართოს ცენტრში. ცენტრის ტერიტორიაზეა უზრუნველყოფილი ბავშვთან ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარება, გარდა იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებისა, რომლებიც, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ცენტრში ვერ ჩატარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ ყველაზე მეტად მატრავმირებელი საპროცესო მოქმედებები - ექსპერტიზა და ნიმუშის აღება ტარდება ცენტრის ტერიტორიაზე, ბავშვზე მორგებულ სივრცეში, სათანადოდ გადამზადებული სპეციალისტების მიერ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებამდე ცენტრის ფსიქოლოგის მიერ ხდება ბავშვის პირველადი ფსიქოლოგიური შეფასება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით, სწორად დაიგეგმოს. აღნიშნული უზრუნველყოფს ბავშვისგან საიმედო, ობიექტური ინფორმაციის მოპოვებას, მაქსიმალურად უწყობს ხელს, რომ ბავშვისგან პირველივე ჯერზე მიღებული იქნეს სრულყოფილი ინფორმაცია და შემცირდეს ბავშვის განმეორებით დაკითხვების რაოდენობა, ასევე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები.

პროკურორებს შესაძლებლობა აქვთ სასამართლო პროცესზე დისტანციური დაკითხვის გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის ჩართვა განახორციელონ ცენტრის ტერიტორიიდან, ბავშვისთვის ნაცნობი, ნაკლებადსტრესული გარემოდან.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი, მართლმსაჯულების განხორციელების პარალელურად, ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებითაც მუშაობს, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციისთვის და სამომავლო განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) შეხვედრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე, მათ შორის, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) ფორმატში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე, მათ შორის, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, გენერალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების მიერ მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს წარედგინა ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში გამოკვეთილ პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე. მონაწილეებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არსებული გამოწვევები განიხილეს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, რეგიონულ ჭრილში. პროფესიონალთა შორის გაიმართა თემატური დისკუსია ნორმათა ერთგვაროვანი განმარტების შესახებ, აგრეთვე, გაანალიზდა ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. შეხვედრის ფარგლებში, არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად გაზიარებული იქნა პროკურატურის ყველა პოზიცია და შემუშავდა რეკომენდაციები.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ, 2017 წელს გამოძიება დაიწყო 724, 2018 წელს – 903, 2019 წელს – 655, 2020 წელს – 331, 2021 წელს 454, ხოლო 2022 წლის მონაცემებით 565 სისხლის სამართლის საქმეზე.



2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით.


გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი
2022 წელი
180 მუხლი 22.90%
194 მუხლი 12.30%
362 მუხლი 9.10%
276 მუხლი 9.00%
332 მუხლი 8.80%
182 მუხლი 5.80%
342 მუხლი 5.50%
341 მუხლი 4.50%
333 მუხლი 3.20%
სხვა 18.90%
2021 წელი
180 მუხლი 25.22%
362 მუხლი 10.66%
332 მუხლი 8.35%
194 მუხლი 7.64%
333 მუხლი 5.51%
276 მუხლი 5.33%
182 მუხლი 4.62%
342 მუხლი 4.62%
164' მუხლი 3.73%
126 მუხლი 3.73%
სხვა 20.60%
2020 წელი
180 მუხლი 15.67%
341 მუხლი 6.91%
362 მუხლი 6.91%
276 მუხლი 5.99%
126 მუხლი 5.53%
182 მუხლი 4.61%
126' მუხლი 4.15%
194 მუხლი 3.69%
177 მუხლი 3.69%
342 მუხლი 3.69%
სხვა 39.17%

სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2022 წლის მონაცემებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 456 პირის მიმართ.



2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) მუხლებით.


სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი
2022 წელი
180 მუხლი 40.80%
362 მუხლი 18.20%
342 მუხლი 7.10%
182 მუხლი 3.70%
341 მუხლი 3.10%
194 მუხლი 2.70%
276 მუხლი 2.30%
25-180 მუხლი 2.30%
332 მუხლი 1.90%
370 მუხლი 1.90%
სხვა 16.10%
2021 წელი
180 მუხლი 35.38%
362 მუხლი 20.13%
194 მუხლი 9.75%
25-180 მუხლი 5.19%
182 მუხლი 3.14%
342 მუხლი 2.52%
126' მუხლი 2.04%
333 მუხლი 1.73%
276 მუხლი 1.57%
126 მუხლი 1.42%
332 მუხლი 1.42%
სხვა 15.72%
2020 წელი
333 მუხლი 18.04%
194 მუხლი 11.41%
332 მუხლი 11.41%
180 მუხლი 7.69%
276 მუხლი 7.43%
342 მუხლი 6.90%
126 მუხლი 4.77%
182 მუხლი 4.51%
126' მუხლი 3.18%
341 მუხლი 2.92%
151 მუხლი 2.65%
სხვა 19.10%

2022 წლის მონაცემებით, ბრალდებული 456 პირიდან 118 დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო.

2022 წელსაც, წინა წლების მსგავსად, ბრალდებულ საჯარო მოხელეთაგან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.





განაჩენები

2022 წლის მონაცემებით, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 313, ხოლო გამამართლებელი - 29 პირის მიმართ.



ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს.

2022 წელს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით დაიწყო 101 საქმეზე.



ბოლო წლებში, ფულის გათეთრების ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ფულის გათეთრების დანაშაულის გამოვლენის გასაუმჯობესებლად საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით და ასევე პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებით.

2022 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა 110 პირის მიმართ დაიწყო.



„ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის“ მოწოდების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იურიდიული პირების ჩართულობის გამოვლენას ფულის გათეთრების დანაშაულის პროცესში და მათ მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

Moneyval-ის მეხუთე რაუნდის ანგარიშის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები, ასევე, ფულის გათეთრების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით არსებული სტრატეგია პოზიტიურად შეფასდა.

პოზიტიური შეფასების ფონზე, კომიტეტმა ასევე მოუწოდა პროკურატურას განაგრძოს იმ ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ეხება ფულის გათეთრების დანაშაულის აღმოჩენის გაუმჯობესებას და რომ პროკურორებმა გააუმჯობესონ დევნადასაწყები საქმეების არეალი, რომლებიც ეხება იურიდიული პირების პასუხისმგებლობას.

2022 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა 27 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო, რაც არსებითად აღემატება წინა წლის მონაცემებს და ადასტურებს საქართველოს პროკურატურის ეფექტიანობის ზრდას იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებით.





ამავდროულად, ევროპის საბჭოს ,,ვარშავის კონვენციის“ კომიტეტის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული შეფასების თანახმად, საქართველო ერთ-ერთია იმ ჩვიდმეტ ქვეყანას შორის, როგორებიცაა შვედეთი, იტალია, ხორვატია, ლატვია, ლიეტუვა და ა.შ., რომელსაც სრულად აქვს იმპლემენტირებული ,,დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნები ფულის გათეთრების დანაშაულებზე იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით და საქართველოს ეფექტიანობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილია.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბოლო პერიოდში, საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფულის გათეთრების საქმეებზე ექვივალენტური ღირებულების ქონების, ასევე დანაშაულის იარაღის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული

ქონების მოძიების, დაყადაღების, ამოღების და ჩამორთმევის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულის გათეთრებისა და პრედიკატ დანაშაულებზე დაყადაღებული და ამოღებული, ასევე დაზარალებულისათვის დაბრუნებული და სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებების ოდენობა.



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

დაყადაღებული/ამოღებული ქონების დეტალური მაჩვენებელი წლების მიხედვით:

- 2020 - თანხა 66 429 643 ლარი, 7 ავტომანქანა - ღირებულებით 350 000 ლარი, 58 უძრავი ქონება - ღირებულებით 16 607 000 ლარი. საერთო ჯამი - 83 036 993 ლარი.
- 2021 - თანხა 104 262 962 ლარი, 32 ავტომანქანა - ღირებულებით 1 591 000 ლარი, 92 უძრავი ქონება - 26 343 000. საერთო ჯამი - 132 196 962 ლარი.
- 2022 - 11 058 518 ლარი, 30 373 082 აშშ დოლარი, 15 219 279 ევრო, 33 000 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი, 2 674 148 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები, 649 უძრავი ქონება, 142 ავტომანქანა, ასევე 6 ერთეული სხვა სატრანსპორტო საშუალება, 83 ერთეული ძვირფასეულობა, 32 კრიპტომატი და ვირტუალური აქტივები (12 ბიტკოინი, 176 696 USDT).



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

ჩამორთმეული ქონების დეტალური მაჩვენებელი წლების მიხედვით:

- 2020 - თანხა 1 967 203 ლარი, 2 ავტომანქანა - ღირებულებით 100 000 ლარი. საერთო ჯამი - 2 067 203 ლარი.
- 2021 - თანხა 13 230 974 ლარი, 5 ავტომანქანა - ღირებულებით 249 000 ლარი, 10 უძრავი ქონება - ღირებულებით 2 863 400 ლარი. საერთო ჯამი - 16 343 374 ლარი.
- 2022 - 5 474 795 ლარი, 7 838 233 აშშ დოლარი, 651 693 ევრო, 11 უძრავი ქონება, 19 ავტომანქანა, 53 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით წარმოებული გამოძიების ფარგლებში დაზარალებულებს დაუბრუნდა 27 101 443 ლარი, 60 000 აშშ დოლარი და 77 372 ევრო.

ტრანსნაციონალური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ, 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის ტრანსნაციონალური თაღლითობის წინააღმდეგ.

არსებული მსოფლიო გამოწვევების საპასუხოდ, იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით მომრავლდა თაღლითობისა და ფულის გათეთრების შემთხვევები, მიზანშეწონილია ყურადღება

გამახვილდეს საქართველოს პროკურატურის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან სამუშაოზე მსგავსი ტიპოლოგიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ტრანსნაციონალური თაღლითობის ერთ-ერთ გავრცელებულ მიმართულებას ე.წ ქოლცენტრების საქმიანობა წარმოადგენს. თუმცა, არსებული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამნაშავეების მიერ გარდა ე.წ ქოლცენტრებისა, ტრანსაციონალური თაღლითობის ჩადენის სხვა არაერთი განსახვავებული ხერხი გამოიყენება, რის წინააღმდეგ საბრძოლველადაც საქართველოს პროკურატურა აქტიურ ნაბიჯებს დგამს, რაც თავის მხრივ არსებულ სტატისტიკაზეც აისახება.

ბოლო წლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ჩატარებული ეფექტური გამოძიებების შედეგად არაერთი ტრანსნაციონალური თაღლითობის დანაშაული გამოავლინა და სისხლისსამართლებრივი დევნა ათეულობით პირის მიმართ დაიწყო. ასევე, ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილი იქნა თაღლითობის შედეგად მიღებული არაკანონიერი თანხების გათეთრების ფაქტები, რის შედეგადაც ფულის გათეთრების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა გარდა ფიზიკური პირებისა, ათზე მეტი იურიდიული პირების მიმართაც დაიწყო.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის სტატისტიკური მონაცემები ტრანსნაციონალური თაღლითობის საქმეებზე და მასთან დაკავშირებულ ფულის გათეთრების საქმეებზე.

სისხლისამართლებრივი დევნა



როგორც აღინიშნა, ტრანსნაციონალური თაღლითობის ერთ-ერთ გავრცელებულ მიმართულებას ე.წ ქოლცენტრების საქმიანობა წარმოადგენს. მსგავსი დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, კომპანიების დაფუძნებას და მათ ბაზაზე ე.წ. თაღლითური ,,ქოლცენტრების" მოწყობას. აღნიშნული ქოლცენტრების მეშვეობით მილიონობით უცხოური ვალუტის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებასა და შემდგომში მათ გათეთრებას.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ე.წ. ქოლ-ცენტრის ფუნქციონირებისათვის, სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით ქმნიან ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლისაგან თაღლითურად მოპოვებული თანხების განთავსებას ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე.

ე.წ. ქოლ-ცენტრის თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, უკავშირდებიან ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, ეცნობიან მათ გამოგონილი სახელებით და სთავაზობენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას.



ე.წ ,,ქოლ-ცენტრის" ოპერატორები მომხმარებლებს არწმუნებენ, რომ მათი დახმარებით ფასების ზრდა-შემცირებაზე ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, შეძლებენ სოლიდური მოგების მიღებას. დაზარალებულებისაგან თანხმობის მიღების შემდგომ, თითქოსდა ელექტრონული ვაჭრობისთვის გამოყოფილი თანხები, თავსდება დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო

ანგარიშებზე და შემდგომში, მრავალჯერადი ფიქტიური ტრანზაქციებით ხდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხების გათეთრება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ანალოგიურ ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 10 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 30 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ, ყადაღა დაედო სავარაუდო დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ 71 391 721 ლარის ღირებულების ფულს, უძრავ-მოძრავ ქონებას და კრიპტოვალუტას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოძიების პროცესში საქართველოს პროკურატურის წარმატება, მნიშვნელოვნად განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ უწყებებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. საქართველოს პროკურატურა, ,,ევროჯასტში“ საქართველოს მეკავშირე პროკურორის ჩართულობით, ეფექტიანად თანამშრომლობს ,,ევროჯასტის“ წევრ ქვეყნებთან და უწყებას მსგავსი ნაყოფიერი თანამშრომლობის უკვე მდიდარი გამოცდილება აქვს.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია, საქართველოს პროკურატურის და უცხო ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში, ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც არაერთი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფი გამოვლინდა.

საქართველოს პროკურატურის გამომძიებლები და პროკურორები, მომავალშიც აქტიურად განაგრძობენ მონაწილეობას ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის უწყების ეფექტიანობას ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში.

ე.წ. ,,ქოლცენტრების“ მეშვეობით თაღლითობის და ფულის გათეთრების ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის საგამოძიები დანაყოფების სტატისტიკური მაჩვენებლები 2022 წლის მონაცემებით შემდეგია:



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

ე.წ. ,,ქოლცენტრების“ მეშვეობით თაღლითობის და ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიების პროცესში, გარდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებისა, აქტიურად ჩართულია სხვა სამართალდამცავი უწყებებიც და წლების მიხედვით საქმეების სტატისტიკური მაჩვენებლები შემდეგია:



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ფულის გათეთრების საქმეების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის თემატიკაზე.

საქართველოს პროკურატურის პროკურორები და გამომძიებლები დაესწრნენ არაერთ ტრენინგს და სამუშაო შეხვედრას თემებზე: პარალელური ფინანსური გამოძიება, „ფინანსურ დანაშაულთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა“, „ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა“.

პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლების მონაწილეობით გაიმართა სასწავლო ვიზიტები და გასვლითი სემინარები სტრასბურგში თემაზე „ფინანსური ოპერატიული დანაყოფების სტრატეგიულ და ოპერატიულ ანალიზში შედარებითი გადაწყვეტილებები და კარგი პრაქტიკა“. პრაღაში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი თემაზე „ფინანსური გამოძიების ტექნიკები“, ასევე სემინარი ბაქოში თემაზე „აქტივების აღდგენა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ტენდენციები და გამოწვევები". ტრენინგი ტაშკენტში „მოთხოვნები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების წარმატებით ამოღებისათვის: პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა“.

ფულის გათეთრების საქმეების ეფექტიანი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლების სწავლება საქართველოს პროკურატურაში შეუქცევად ხასიათს ატარებს და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

- საქართველოს პროკურატურის საქმიანობის 2021 წლის ანგარიშით იდენტიფიცირებული გამოწვევის, კერძოდ, მატერიალური სარგებლით მოტივირებულ დანაშაულებზე საგამოძიებო უწყებების მიერ პოტენციური ფულის გათეთრების დანაშაულის აღმოჩენის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითება პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ.

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება /ჩამორთმევის, ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესებას და ასევე, პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

დოკუმენტი განკუთვნილია საგამოძიებო ორგანოების იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ახდენენ მატერიალური სარგებლით მოტივირებული დანაშაულების ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების გამოძიებას ან/და საპროცესო ზედამხედველობას. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს პროკურატურაში დაწყებულია პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების პროცესი, რაც პირდაპირ ასახვას ჰპოვებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე სხვა სამართალდამცავ უწყებებშიც.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

2022 წლის ივნისში, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტში სპეციალიზირებული დანაყოფი - კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო შეიქმნა.

სპეციალიზირებული დანაყოფის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კომპიუტერული სისტემების გამოყენებით კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა მზარდი სტატისტიკა გახდა, რაც მათ შორის

აქტიურად ვლინდებოდა პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებში. აღნიშნული ტენდენცია კი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია, რომელმაც მოიცვა საქმიანობის თითქმის ყველა სფერო და გაზარდა კიბერსაფრთხეების მიმართ მათი მოწყვლადობა.

ახლად შექმნილი, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ძირითადი მიზანია გამოავლინოს პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული და მასთან დაკავშირებული კიბერდანაშაულების ფაქტები, რეაგირება მოახდინოს კიბერდანაშაულის შესახებ შეტყობინებებზე და განახორციელოს კიბერდანაშაულის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

სამმართველოს 2022 წლის საქმიანობის შედეგები :

- სამმართველოს წარმოებაშია - 18 სისხლის სამართლის საქმე;
- გამოძიების დაიწყო - 11 სისხლის სამართლის საქმეზე;
- სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 3 პირის მიმართ;
- დაყადაღებული/ამოღებულია - 2 500 000 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება და 3 500 აშშ დოლარის ღირებულების ვირტუალური აქტივები;
- 1 500 000 ლარის ღირებულების კრიპტო ვალუტა.

სპეციალიზირებული დანაყოფის ჩამოყალიბების პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, ციფრული გამოძიების სპეციალური ლიცენზირებული პროგრამით და დაკავშირებული საჭირო ტექნიკით აღჭურვილი ციფრული ლაბორატორია შეიქმნა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დანაყოფის შესაძლებლობებს და ეფექტიანს ხდის კიბერდანაშაულის მასშტაბური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ციფრული ლაბორატორიის მხარდაჭერით, 2022 წელს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ახალი მიდგომის დანერგვა დაიწყო. აღნიშნული მიმართულებით, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამოღება კომპიუტერული ექსპერტიზის ფარგლებში ხორციელდება, რაც სათანადო ადამიანური რესურსების არარსებობის გამო, დროში გაწელილი პროცედურაა და მნიშვნელოვნად აფერხებს გამოძიების ეფექტურობას.

საკითხისადმი ახლებული მიდგომა გულისხმობს გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამოღებას გამოძიების მწარმოებელი უწყების სათანადო ცოდნის მქონე გამომძიებლის ან სხვა უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურაში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, დაინერგა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ამჟამადაც მიმდინარეობს ერთწლიანი სალექციო და პრაქტიკული სასწავლო კურსი, რომლის მიზანია პროკურორებისა და გამომძიებლების შესაძლებლობების გაძლიერება ციფრული მტკიცებულებების გამოვლენის, შენახვისა და გაანალიზების მიმართულებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და დახმარებით, 2022 წელს შეიმუშავა ვირტუალური აქტივების ამოღების შესახებ სახელმძღვანელო, რომლის შექმნის მიზანია სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს, გამომძიებლებს, ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მათი ამოღება წარმატებით მოახდინონ.

ვირტუალური აქტივების სახელმძღვანელოში განხილულია ის საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც დაეხმარება პროკურორებს და გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით, ეფექტიანად ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები.

სახელმძღვანელოს შექმნა განაპირობა ვირტუალური აქტივების პოპულარიზაციასთან ერთად მისი გამოყენების არეალის ზრდამ დანაშაულებრივ საქმიანობაში, რის გამოც დღის წესრიგში დადგა საგამოძიებო ორგანოების მიერ დროული და ეფექტიანი რეაგირების აუცილებლობა ვირტუალური აქტივების მოძიებისა და ამოღების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოში გაწერილი პროცედურების დაცვით, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალიზებული დანაყოფის თანამშრომლებმა, მოახდინეს სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, დიდი ოდენობით ღირებულების კრიპტოვალუტის მოძიება და ამოღება, რაც საქართველოს სამართალდამცავი უწყებების პრაქტიკაში იმ მომენტისათვის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. ამჟამად კი უწყებას ამ მიმართულებით უკვე კარგი გამოცდილება აქვს.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პროკურატურამ 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თანამშრომელთა სპეციალიზაციის და გადამზადების მიმართულებით.

2022 წელს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, კიბერდანაშაულის თემაზე განხორციელდა არაერთი სასწავლო აქტივობა, მათ შორის ტრენინგები კრიპტოვალუტის მოძიებისა და ამოღების თემაზე.

საქართველოს პროკურატურის პროკურორები და გამომძებლები დაესწრნენ ათამდე ტრენინგს, მათ შორის ტრენინგები: „ფინანსური გამოძიება, კრიპტოვალუტა და დარქნეტი“, "კრისტალ ბლოკჩეინის კრიპტოს მიდევნების ტრენინგი", “კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერდანაშაულის საკითხები“, „მავნე კოდისა და ლოგების ანალიზი“, ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ელექტრონული მტკიცებულებები“, ასევე სამუშაო შეხვედრა „კრიპტოვალუტის რისკები და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.

საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთ სასწავლო ვიზიტებში, ტრენინგებში, კონფერენციებსა და რეგიონულ ფორუმებში, მათ შორის აშშ-ში თემაზე კიბერდანაშაული, ელექტრონული მტკიცებულებები და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამართალდამცავი უწყებებისა და პროკურორების სამუშაო პროცესში. ასევე ორ სამუშაო შეხვედრაში, სტამბულში, კიბერდანაშაულისა

და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე. კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ სამ ტრენინგში ბუდაპეშტში, ასევე რეგიონულ ფორუმში ბუქარესტში კიბერდანაშაულისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ.

ვირტუალური აქტივების პოპულარიზაცია და დანაშაულებრივი საქმიანობისას ელექტრონული ფულის გამოყენება, თანამედროვე დანაშაულებრივ სამყაროსთან ბრძოლის მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. გამოძიების პროცესს განსაკუთრებით აფერხებს ვირტუალური აქტივების სერვისის არარეზიდენტ მიმწოდებლებთან თანამშრომლობა. მართალია, ათეულობით კრიპტოპლატფორმა (მაგ: Binance; Gate.io; Moonpay; Coinbase; OpenSea; Bitstamp; cex.io; ViaBTC; Huobi; Kraken და ა.შ.) აქტიურად თანამშრომლობს ქართულ სამართალდამცავ უწყებებთან, თუმცა ჯერ კიდევ დიდია რიცხვი ვირტუალური აქტივების სერვისის მიმწოდებლებისა, რომლებთანაც დაცული, გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ელექტრონული ინფორმაციის მოპოვება, დროში გაწელილ საერთაშორისო სამართლებრივ პროცედურებთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან, საერთაშორისო თანამშრომლობის უწყებათაშორის ქსელებთან, რათა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უფრო სწრაფი და ეფექტური გახდეს. აღნიშნული, მათ შორის ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიების, დაყადაღების და ამ ქონების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ეფექტურად გატარებას.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საქართველოს პროკურატურის, ასევე ყველა სამართალდამცავი უწყების, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მსგავსი კატეგორიის დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი ბოლო წლებში მზარდია, რაც განპირობებულია კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზირებული დანაყოფების შესაბამისი უნარების მქონე გამომძიებლების და ამ მიმართულების სპეციალიზირებული საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორების ეფექტიანი საქმიანობით.



ციფრული ტექნოლოგიების განვითარების და ამ სივრცეში დანაშულის ზრდის საპასუხოდ, 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 286[1] მუხლი - „კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით“.

პრაქტიკაში აღნიშნული მუხლით კვალიფიცირდება ციფრულ სივრცეში განხორციელებული ფულადი თანხის ხელყოფის, მათ შორის, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, პლასტიკური ბარათის გამოყენებით, უკანონოდ მიღებულ მცირე ოდენობის მატერიალური სარგებლის ფაქტებიც. ანალოგიურ შემთხვევებში, ისევე როგორც ქურდობის დროს, მცირე მნიშვნელობის ზიანის არსებობისასაც, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სისხლის სამართლის კოდექსის 286[1] მუხლით, რამაც განაპირობა სტატისიკურ მოდულში 286[1] მუხლის მაჩვენებლის ზრდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ამ ბრძოლის წარმატებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოების რეპუტაცია და გამართული ფუნქციონირება.

კორუფციული დანაშაული მისი სპეციფიკიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ

ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლა არაცენტრალიზებულია. კორუფციული დანაშაულების გამოძიება მიეკუთვნება პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებას.

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას სხვადასხვა უწყების ანტიკორუფციული საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, აგრეთვე, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, კორუფციულ დანაშაულზე თავად აწარმოებს გამოძიებას სრული მოცულობით. ამ მიზნით საქართველოს პროკურატურის სისტემაში შექმნილია სპეციალიზებული დანაყოფი - კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი და მაღალპროფესიონალი კადრებით და სრულად უზრუნველყოფილია სათანადო რესურსებით, რაც იძლევა მათი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების გარანტიას.

კორუფცია საჯარო სექტორში

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 2022 წელს გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 216 სისხლის სამართლის საქმეზე. 2021 წელს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 168 საქმეზე.



მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა გამოძიების დაწყების ძირითადი წყაროები, ესენია - ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მოქალაქეების განცხადება/საჩივრები, ასევე საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.



2022 წელს, საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 150 პირის მიმართ. რაც შეეხება 2021 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში მხილებული 144 პირის მიმართ.



2022 წელს ყველაზე მეტი - 69 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 342-ე მუხლით - სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტებზე. სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 25 პირის მიმართ, ხოლო ქრთამის აღების (338-ე მუხლი) ფაქტებზე - 21 პირის მიმართ.



2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 124 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სამსახურში, ხოლო მათგან 7 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს, ესენი არიან: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, მუნიციპალიტეტის გამგებლები, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს წევრი. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ საჯარო მოხელეთა უდიდეს ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები წარმოადგენენ (სულ 76 პირი, რაც შეადგენს ბრალდებულ საჯარო მოხელეთა 61%-ს).

2022 წელს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 117 პირის მიმართ, ხოლო 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 88 პირს.



2022 წელს სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) დამნაშავედ იქნა ცნობილი 40 პირი, სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 24 პირი, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენდა 7 პირს.



აღსანიშნავია, რომ 2022 წელს კორუფციული დანაშაულის ჩადენაში სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი 6 პირი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იკავებდნენ მაღალ თანამდებობას,

კერძოდ: მუნიციპალიტეტის 2 მერი, მერის მოადგილე და გამგებელი, რაიონული პროკურორის მოადგილე, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი.

კორუფცია კერძო სექტორში

2022 წელს გამოძიება დაიწყო კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 99 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2021 წელს ანალოგიური კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 50 სისხლის სამართლის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ კერძო სექტორში ჩადენილ კომერციული მოსყიდვის ფაქტებზე 2022 წელს გამოძიება დაიწყო 52 საქმეზე. რაც შეეხება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ფაქტებს, 2022 წელს გამოძიება დაიწყო 44 საქმეზე.



2022 წელს, კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 118 პირის მიმართ. 2021 წელს ამ კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 53 პირის მიმართ. აღნიშნულ პერიოდში, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 59 პირის მიმართ.



2022 წელს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 86 პირის მიმართ, ხოლო 2021 წელს სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი ამ კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული 29 პირი.



2022 წელს სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (კომერციული მოსყიდვა) ბრალდებული 49 პირი, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენდა 5 პირს. რაც შეეხება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ფაქტებზე სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილ პირთა მონაცემებს,

2022 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 34 პირის მიმართ, ხოლო 2021 წელს დამნაშავედ იქნა ცნობილი 22 პირი.

ქონების დაყადაღება და ჩამორთმევა

კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში, მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველსაყოფად, 2022 წლის განმავლობაში ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემდეგი ოდენობის აქტივებსა და ქონებებს: 248 000 ლარი, 196 უძრავი ქონება (16 000 000 ლარი) და 2 ავტომანქანა. (100 000 ლარი)



შენიშვნა: უძრავი ქონების და ავტომანქანის შემთხვევაში, მითითებულია უძრავი ქონების და ავტომანქანის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში.

საანგარიშო პერიოდში, ჩამორთმეულ**ი** იქნა კორუფციული დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული შემდეგი ოდენობის აქტივები და ქონება: 327 000 ლარი, 22 უძრავი ქონება (4 000 000 ლარი) და 1 ავტომანქანა (50 000 ლარი).



შენიშვნა: უძრავი ქონების და ავტომანქანის შემთხვევაში, მითითებულია უძრავი ქონების და ავტომანქანის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად ჩატარება. 2022 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადმოიგზავნა 19 ანგარიში, ხოლო წინა წელს მიღებული იქნა 18 ანგარიში.



კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს პროკურატურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებულ ანგარიშებზე ეფექტიანი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება, რა მიზნითაც პროკურატურა აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

მიღებული ანგარიშების საფუძველზე, 2022 წელს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 17 საქმეზე. აუდიტის სამსახურის 2 ანგარიში თემატურად დაერთო მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებს. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გამოძიება დაიწყო ასევე 17 სისხლის სამართლის საქმეზე.



რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2022 წელს პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, 35 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ მათგან 18 პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა საჯარო სექტორში. დევნის დაწყების მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენდა 19 პირს, შესაბამისად გაზრდილია დევნის დაწყების მაჩვენებელი 84%-ით.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილი იქნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ მუხლებით:



არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი სწავლობს და აანალიზებს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებს როგორც საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოები ასევე სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

2022 წელს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე საქმეების შესწავლისას გაანალიზდა შემდეგი ასპექტები: გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად დაწყება, დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა პერსონალური მახასიათებლები.

ანალიზის მიზნებისთვის, ასევე გამოქვეყნდა ბოლო წლებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ტენდენცია. ასევე, შესწავლილია კერძო პირების მიერ ჩადენილი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებიც.

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენაზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[3].

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2022 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 3 სისხლის სამართლის საქმეზე. მათგან

- 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით;
- 1 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

2022 წელს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე. მათგან,

- 7 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის 2 „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, 2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 4 თანამშრომლის მიმართ. მათგან, პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ „დ“ „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე,

[3] b33a97e5-arasaTanado-mopyrobis-analizi-2022-GEO.pdf (pog.gov.ge)
https://pog.gov.ge/uploads/38eb6b55-ILL-TREATMENT-2022-ENG.pdf

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პოლიციელის მიმართ. მათგან, პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პოლიციელის მიმართ: მათ შორის,

- 1 პოლიციელის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 1 პოლიციელის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;
- 2 პოლიციელის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით .

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პოლიციელის მიმართ: მათ შორის

- 2 პოლიციელის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,
- 1 პოლიციელის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის კანონით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებმოსილების განხორციელების ფუნქცია, 2022 წლის 1 მარტიდან დაეკისრა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. ამავე კანონით, ახლადშექმნილი საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაფართოვდა და მოიცვა ისეთი დანაშაულები, რომელთა გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება 2019 წლის 1 ნოემბრის შემდგომ ჩადენილ:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, ასევე ვრცელდება 2022 წლის 28 თებერვლის შემდეგ ჩადენილ:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126 1, 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ (გარდა პროკურორისა);
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე–163-ე და 164[4] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ ეს დანაშაული სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამ პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობისას გამოავლინა;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი, რომელიც 4 პროკურორის და 1 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორით არის დაკომპლექტებული.

2022 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო 412 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 67 პირის მიმართ. მათ შორის:



დევნადაწყებული 67 პირიდან:

- 20 იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი;
- 8 იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი;
- 2 - იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი.

2022 წელს გამამტყუნებელი განაჩები გამოტანილ იქნა 27 პირის მიმართ: მათ შორის

- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 144^3-ე მუხლით;
- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 333-ე და 144^3-ე მუხლებით;
- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 333-ე და 116-ე მუხლებით;
- ✓ პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით;
- ✓ პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 335-ე მუხლით;
- ✓ 4 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით;
- ✓ პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126^1-ე და 151-ე მუხლებით;
- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126-ე და 151-ე მუხლებით;
- ✓ პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლით;
- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 154-ე და 156-ე მუხლებით;
- ✓ 10 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 157^1-ე მუხლით;
- ✓ 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 157^1-ე და 139-ე მუხლებით.

2022 წელს გამოძიება შეწყდა 60 სისხლის სამართლის საქმეზე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორების მიერ გაიცა 32 სავალდებულო წერილობითი მითითება.

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე 2022 წელს წარმოდგენილ იქნა 15 წინადადება, რომელთაგან:

- 6 წინადადება (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება) - დაკმაყოფილდა სრულად;
- 1 წინადადება (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება) - არ დაკმაყოფილდა;
- 3 წინადადება (გამოთხოვა) - დაკმაყოფილდა სრულად;
- 1 წინადადება (გამოთხოვა) - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
- 1 წინადადება (გამოთხოვა) - არ დაკმაყოფილდა;
- 3 წინადადება (ამოღება) - დაკმაყოფილდა სრულად;

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 12 ფაქტი (მათ შორის 1 განაჩენით ჩამორთმეული ქონება), ხოლო დაზარალებულად იქნა ცნობილი 25 პირი.

საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზარალებულებს დაუბრუნდათ (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 2,802,251 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით დაახლოებით 59,866 კვადრატული მეტრი, ასევე კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება მანქანა და 1 საცხოვრებელი ბინა. საერთო ჯამში 2022 წელს დაბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია 3,029,887 (სამი მილიონ ოცდაცხრაათას რვაასოთხმოცდაშვიდი ლარის) ოდენობის უძრავ-მოძრავი ქონება.

განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობები

2022 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 11 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები იყვნენ. ამავე პერიოდში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი 21 პირის მიმართ, საიდანაც 12 პირს მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის პროცესში ბრალდების მხარის შუამდგომლობით უარი ითქვა ბრალდებაზე 3 პირის მიმართ.

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში 1 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და 4 პირის მიმართ გამოყენებული იქნა განრიდება.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2022 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 210 ფაქტი, მხილებული იქნა 56 საჯარო მოხელე, რომელთაგან 41-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. 6 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 15 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 13 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამტუნებელი განაჩენი. დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 463 პირი, რომელთაგან 325 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ (ან დაპრუნების პროცესშია) დაახლოებით 62,600, 000 (სამოცდაორიმილიონ ექვსასი ათასი) ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის :

- ✓ 172 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 22,908,038 კვ.მ;
- ✓ 7 საცხოვრებელი ბინა;
- ✓ 2 აგარაკი;
- ✓ საოფისე და კომერციული ფართები;
- ✓ სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ✓ ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- ✓ გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები;
- ✓ შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- ✓ 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- ✓ 82 ერთეული ავტომანქანა;
- ✓ ოქროს ნაკეთობები;
- ✓ ფიროსმანის ფერწერული 2 ტილო;
- ✓ ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.
- ✓ აბრა „კახური ღვინო“

2022 წლის მონაცემებით სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 120 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 30 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. 120 პირიდან 111 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებზე გრძელდება საქმეების განხილვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად 19 პირის მიმართ, რომელთაგან 13 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, დადგენილი იქნა უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტები, გამოტანილი იქნა შესაბამისი დადგენილებები და უარი ითქვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პირთა მიმართ ასევე გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენები.

ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლა. სამართალდამცავი ორგანოების აქტიური ქმედებების და სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლებში ფიქსირდება ამ კატეგორიის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაღალი მაჩვენებელი.

2022 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე, 223^2-ე, 223^3-ე და 223^4-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **83 პირის** მიმართ, მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე 38 პირის მიმართ,
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე **6** პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე **17** პირის მიმართ,
- „ქურდული სამყაროსათვის" მიმართვის ფაქტზე **22** პირის მიმართ.

რაც შეეხება წინა წლების მონაცემებს, ,,ქურდული სამყაროს" დანაშაულის საქმეებზე, 2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 42 პირის მიმართ, 2020 წელს 54 პირის მიმართ, ხოლო 2021 წელს 96 პირის მიმართ.



რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენებს, 2022 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა **87 პირის** მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი **21 პირის** მიმართ, მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე **28** პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე **43** პირის მიმართ,
- „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე **16** პირის მიმართ.

21 პირის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენიდან -10 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა), 1 პირის მიმართ 223^1-ე მუხლის მეორე ნაწილით (კანონიერი ქურდობა), 9 პირის მიმართ 223^3-ე მუხლის მეორე ნაწილით (ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერ) და 1 პირის მიმართ 223^4-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროსათვის“ მიმართვა).



აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ ბოლო წლებში, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით დანერგა პარალელური ფინანსური გამოძიების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ხდება იმ უკანონო ფინანსური თუ მატერიალური აქტივების მოძიება, რომლებიც ქურდული სამყაროს წევრების მიერ მოპოვებულია დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. ამ მიმართულებით უკვე გვაქვს კონკრეტული შედეგები. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა ქურდული

სამყაროს წევრობისთვის ბრალდებულის მიმართ და მსგავსი პრაქტიკა ამ მიმართულებით მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს პროკურატურის მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის უმკაცრესი. აღნიშნული მუხლებით ბრალდებული ყველა პირის მიმართ პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა. ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად იგზავნება სასამართლოში და საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის და მამხილებელი ჩვენების მიცემისას გამონაკლის შემთხვევებში იყენებს.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ,,ქურდული სამყაროს" დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორებიცაა:

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა, რაც მიმზიდველი ფაქტორია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვის. ქვეყნის გარედან „ქურდული სამყაროს" გავლენის აღდგენის მცდელობა. მეზობელ სახელმწიფოებში „ქურდული სამყაროს" მოქმედი ქართული დაჯგუფებები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კრიმინალურ სინდიკატად ითვლება, რამაც შეიძლება საქართველოში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონიოს. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. „ქურდული სამყარო" საზოგადოების ამა თუ იმ წრეში კვლავაც გარკვეული პოპულარობით სარგებლობს და მოქალაქეები თავს იკავებენ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს. ამ მხრივ საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილი მოზარდები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად ექცევიან კრიმინალური ე.წ. „ავტორიტეტებისა" და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა აქტიურად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2022 წელს პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოსახლეობასთან ჩატარდა თბილისში, ბათუმში, ოზურგეთში, ხელვაჩაურში, ქუთაისში, სამტრედიაში, საჩხერეში, ზუგდიდში, სენაკსა და ფოთში. მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გააგრძელდება.

ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოტიკული დანაშულის ჩამდენი პირების მიმართ მათ მიერ ჩადენილი დანაშულის მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებით მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკორეალიზატორების მიმართ.

2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **178** ნარკორეალიზატორის მიმართ, მათ შორის:

- სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით - **58** პირის მიმართ;
- სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილით - **85** პირის მიმართ;

- სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილით - **27** პირის მიმართ;
- სსკ-ის 261-ე მუხლით - **1** პირის მიმართ;
- სსკ-ის 273[1]-ე მუხლით - **7** პირის მიმართ;

რაც შეეხება წინა წლების მონაცემებს, 2020 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 71 ნარკორეალიზატორის ხოლო 2021 წელს 141 ნარკორეალიზატორის მიმართ.

2022 წელს ნარკორეალიზატორთა საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 108 პირის მიმართ, 2021 წელს კი 91 პირის მიმართ.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოს შედეგად, სტაბილურად იზრდება ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელ პირთა გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, რაც ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ აქცენტებზე მიუთითებს. აღნიშნულ პირთა გამოსავლენად ყველა შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორებიცაა საკონტროლო შესყიდვა, ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება, რომლებიც სხვა ნეიტრალურ მტკიცებულებებთან ერთად, საფუძვლად დაედო ამ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმატებით განხორციელებას.

ნარკოტიკების გასაღებისთვის ბრალდებული პირების მიმართ, ყველა შემთხვევაში გამოყენებულ იქნა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. ამავე პირების მიმართ, სასამართლოს განაჩენების საფუძველზე დანიშნულია მკაცრი სასჯელები, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთასთან. თუკი წინა წლებში განსაკუთრებით დიდ რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანანონო გასაღებისთვის საჯელის ზომა, საშუალოდ 9 წლით თავისუფლების აღკვეთას შეადგენდა, 2022 წელს სასჯელის ზომა ასეთი დანაშაულისთვის საშუალოდ 15 წლით თავისუფლების აღკვეთას შეადგენს, რაც 2021 წლის დეკემბერში საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე განხორციელებულმა სასჯელების გამკაცრებამ გამოიწვია. როგორც წესი, ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელ პირებთან არ ფორმდება საპროცესო შეთანხმებები.

გარდა ამისა, დანაშაულის პრევენციის მიზნით, ნარკოტიკული საშუალებების გამავრცელებელი პირების მიმართ ხდება მათი მატერიალური და ფინანსური აქტივების მოძიება და მიდევნება, იმის გასარკვევად, ხომ არ იყო ქონება მოპოვებული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, შემდგომში ამ აქტივების კანონით დადგენილი წესით ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, ნარკორეალიზატორთათვის ჩამორთმეულ იქნა **77 600 ლარის** ღირებულების 5 მანქანა.

ნარკოტიკული საშუალებების გასაღებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ჩართულნი არიან განგრძობადი სწავლების პროცესში. პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ თემაზე ჩატარებულ არაერთ ტრენინგში, ადგილობრივ, საერთაშორისო და რეგიონულ სამუშაო შეხვედრასა და კონფერენციაში. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, მიმდინარე წელს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამის საფუძველზე, პროკურორებმა გადამზადება

გაიარეს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით პარალელური ფინანსური გამოძიების საკითხებზეც.

საქართველო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში, ფიქსირდება ტვირთბრუნვის ზრდა საქართველოს გავლით, რაც ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირთათვის, რომ გამოიყენონ საქართველოს როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო გზები ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტანისა და ტრანზიტის მიზნით. ამ გამოწვევების გათვალისწინებით შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალიზებული სტრუქტურული ქვედანაყოფი და 2022 წელს ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებთან დაკავშირებით, მხოლოდ ზემოხსენებული დანაყოფის წარმოებაში არსებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით დევნა დაწყებულია 35 პირის მიმართ, რაც გასულ 2021 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტია (2021 წელს დევნა 10 პირის მიმართ).

2022 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელებული ნარკოვაჭრობა. ასეთ შემთხვევებში გამსაღებელი შემძენთან ურთიერთობას ახორციელებს დისტანციურად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, ანგარიშსწორება ძირითადად კრიპტოვალუტით ხორციელდება, ხოლო უშუალოდ ნარკოტიკის გადაცემა სხვადასხვა, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე განთავსების გზით ხდება. აღნიშნული გარემოებები ართულებს დამნაშავეთა გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად ამისა, გამოვლენილი იქნა ნარკოტიკებით ამგვარი მეთოდით ვაჭრობის არაერთი ფაქტი. 2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა საკომუნიკაციო საშუალებებით ვაჭრობაში მონაწილე 49 პირის მიმართ, რომელთა უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ამასთან, ყველა საქმეზე უზრუნველყოფილი იქნა გასაღებისთვის მომზადებული და სხვადასხვა ლოკაციებზე გასაღებისთვის ფარულად განთავსებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებების ამოღება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის 19 ივლისის ანგარიშის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით კვლავ ინარჩუნებს ადგილს უმაღლეს საფეხურზე – პირველ კალათაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შეფასებულ ქვეყნებს შორის საქართველო მსოფლიოში იმ საუკეთესო 30 სახელმწიფოს შორისაა, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებენ თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით.

საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 13 სახელმწიფოს (ბულგარეთი, ხორვატია, დანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი) და წელსაც ერთადერთია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი), რომელიც პირველ კალათაში იკავებს ადგილს. საქართველო

ევროკავშირის ქვეყნების - ავსტრიის, ბელგიის, ჩეხეთის, ესტონეთის, საფრანგეთის, ფინეთის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ესპანეთის, შვედეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გვერდითაა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშში პოზიტიურად ფასდება როგორც ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე სამართალდამცავთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენისა და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის მიმართულებით.

2022 წელს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შეასრულა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება და შეისწავლა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულების დინამიკა, ტენდენციები და გამოწვევები. დეპარტამენტის მიერ მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2022 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. გაანალიზდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების ტრეფიკინგის ფაქტები, ექსპლუატაციის ფორმები, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ასპექტები, დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა პერსონალური მახასიათებლები.

სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი მოიცავს მნიშვნელოვან ასპექტებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გამოწვევებს, ტენდენციებს და სამომავლო გეგმებს. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[4]

საქართველოს პროკურატურამ 2016-2021 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა 50 ტრეფიკიორის მიმართ დაიწყო, ამათგან სრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 13 პირის მიმართ, ხოლო არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე - სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლით - 37 პირის მიმართ. რაც შეეხება განაჩენებს, 47 ტრეფიკიორის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

2022 წელს კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 ტრეფიკიორის მიმართ, მათგან 4 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით, ხოლო 1 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლით.

დაზარალებულად ცნობილია 3 პირი, მათ შორის 2 სრულწლოვანი და 1 არასრულწლოვანი.

2022 წლის 4 მაისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

[4] https://pog.gov.ge/uploads/3e69f388-trefikingis-sisxlis-samarTlis-saqmeTa-analizi-2022-GEO.pdf
https://pog.gov.ge/uploads/c32ed78e-ANALYSIS-OF-HUMAN-TRAFFICKING-CASES-2022-ENG.pdf

მონაწილეებმა იმსჯელეს სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პრაქტიკულ ასპექტებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებისა და ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხებს. აქცენტი გაკეთდა უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობისა და მულტისექტორული თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე.

2022 წლის 23 ივნისს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) და შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ეროვნული სიმულაციური ტრენინგები დაიწყო. სწავლება ჩატარდა პროექტის ფარგლებში -„ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით“.

სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და მასში პროკურორებთან ერთად გამომძიებლები, შრომის ინსპექტორები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და მსხვერპლებთან მომუშავე პირები იღებდნენ მონაწილეობას. სასწავლო კურსი პროფესიონალებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებზე ეფექტიან რეაგირებაში, ასევე, პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირებასა და დასჯაში.

საქართველო მოწინავე სახელმწიფოა რეგიონში, სადაც აღნიშნული სასწავლო კურსი დაინერგა. პროექტის განხორციელება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობას ქვეყანაში და საქართველოს უწყვეტ ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით.

შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებს, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები შედიან. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანია სახელმწიფო უწყებების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების ფონდი, შრომის ინსპექცია, სოციალური სააგენტო) კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოსავლენად.

2022 წლის 27 დეკემბერს გაიმართა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა, სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2022 წლის ანალიზის შედეგები, სისხლის სამართლის საქმეთა ტენდენციები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები და შრომითი ტრეფიკინგის აღკვეთის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის სამომავლო გეგმები.

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ოჯახური დანაშაული

2022 წელსაც, ისევე როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში, პროკურატურისათვის პრიორიტეტული იყო ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

2022 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5325 პირის მიმართ, დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით ამგვარია:



2022 წელს ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა შეადგინა 90%, რაც შეეხება წინა წლებს მონაცემები შემდეგია:



ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობებიდან 2022 წელს სასამართლომ დააკმაყოფილდა 57%. რაც შეეხება წინა წლებს, მონაცემები შემდეგია:



2022 წელს ჩატარდა ქალთა მიმართ და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგი, რა დროსაც იდენტიფიცირებულ იქნა გამოძიებასა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას არსებული

ტენდენციები, ასევე გაანალიზდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა ,,ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“ არსებული რეკომენდაციის განახლებული ვერსია.

2022 წელს მომზადდა „ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების განახლებული ვერსია. სახელმძღვანელო მითითებაში დეტალურად გაიწერა აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობები. სახელმძღვანელო მითითება, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ოჯახური დანაშაულების საქმეებზე სწორი და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას, დანაშაულის განმეორების რისკის სწორად შეფასებას, დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებული და მისი პოზიციის განმაპირობებელი ფაქტორების შეფასებას, ამასთან, ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

2022 წელს ჩატარდა ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სპეციალიზაციის კურსი მენეჯერებისთვის. ტრენინგზე განხილულ იქნა საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი ჩარჩო - ქალთა უფლებების, ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ, ოჯახში ძალადობის აღკვეთის სხვა სამართლებრივი მექანიზმები და მათი კავშირი სისხლის სამართალწარმოებასთან, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა, პროკურორის როლი მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობაში, ოჯახური დანაშაულის ტენდენციები, გამოძიების ხარვეზები, რეკომენდაციები, განხილული იქნა საქმეთა მონიტორინგისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა კვალიფიციური საპროკურორო საქმიანობათან ერთად მოითხოვს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შესაბამისი მექანიზმების არსებობას. პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია ქალთა და ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა განმეორებითი დანაშაულისაგან დაცვა. სწორედ ამ მიზნთ, საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რაც გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულების მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებას. განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებშიც, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ, რომელთაც შეფარდებული აქვთ არასაპატიმრო ღონისძიება, განხორციელდება 24-საათიანი ელექტრონული მონიტორინგი, რაც შექმნის ბრალდებულის დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის კონტროლის ეფექტიან მექანიზმს, დაზარალებულებს შეუქმნის უსაფრთხოების მეტ გარანტიებს და შეამცირებს ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განმეორების რისკებს. 2022 წლის აგვისტოში განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი პარლამენტმა და იუსტიციის სამინისტრომ, პარტნიორ უწყებებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს წარუდგინეს. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების დამუშავება, რისთვისაც პარტნიორ უწყებებთან ერთად საქართველოს პარლამენტში დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მექანიზმების და დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების დამუშავების პროცესში.

2022 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა (Bench & Bar) „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემურ საკითხებზე". შეხვედრას გენერალური პროკურატურის, საერთო სასამართლოების და ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე პროკურატურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე. კერძოდ, წარდგენილ იქნა მოსაზრებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე ნორმათა განმარტების, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საკითხებზე. ასევე გაჟღერებული იქნა მოსაზრებები საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებასთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა გაიზიარეს პროკურატურის წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.
საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები 2022 წლის 17 ნოემბერს სტრასბურგში დაესწრნენ შეხვედრას, რომელიც შეეხებოდა ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით კოვიდ-19-ის გავლენას. ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნებიდან როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივი პროგრამის (პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის II) პროექტის „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბულის კონვენციის და თანასწორობის დაცვის სხვა ევროპული სტანდარტები" ფარგლებში. პროკურატურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სამართალდამცავ სისტემაში პანდემიის დროს ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯებზე, შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს ქვეყნის მიერ სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გაწეული ძალისხმევა და ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკა, რაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ სხვა პროგრესულ ნაბიჯებთან ერთად, პოზიტიურად შეაფასა, შეხვედრაზე მყოფმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ყოფილმა ხელმძღვანელმა -კრისტიან ურსემ.

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას. 2022 წელს სპეციალიზებული პროკურორების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე აქტიურად ხდებოდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა.
2022 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში წინა წლების მსგავსად გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების მაღალი მაჩვენელი კვლავ შენარჩუნდა.
გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა

- 2016 წელს გამოიკვეთა - 3 ბრალდებულის მიმართ,
- 2017 წელს - 25 ბრალდებულის მიმართ,

- 2018 წელს - 111 ბრალდებულის მიმართ,
- 2019 წელს - 120 ბრალდებულის მიმართ,
- 2020 წელს - 208 ბრალდებულის მიმართ,
- 2021 წელს - 732 ბრალდებულის მიმართ.

2022 წელს კი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენელი დაფიქსირდა. კერძოდ, 2022 წელს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1069 პირის მიმართ, მათ შორის გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით (ეთნიკური, ეროვნული და სოციალური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობა) – 4 პირის მიმართ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აღნიშნული მაჩვენებელით 2021 წლის სტატისტიკური მონაცემი 46%-ით გაზრდილია და თავის მხრივ 128.9 %-ით აღემატება 2016-2020 წლების სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამურ მაჩვენებელს.

2022 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 1090 პირი, მათგან 1077 ქალი და 13 კაცი.

2022 წელს, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“ და „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების შესახებ“.

2022 წელს ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე შვედეთის რესპუბლიკის დედაქალაქ სტოკჰოლმში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი. სასწავლო ვიზიტი მიზნად, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ეფექტიან იმპლემენტაციას, თანხმობაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებას ისახავდა.

2022 წელს კვლავ წარმატებით განხორციელდა ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის სასწავლო კურსი - „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე“. კურსის დანერგვას წინ უძღოდა ქალთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემაზე საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული მენტორინგის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შეირჩნენ წარმატებული პროკურორები, რომელთაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2022 წლის 21-23 ივნისს, ქ. ბუდაპეშტში, ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე ტრენერთა ტრენინგი გაიარეს. ტრენინგის წარმატებული 5 პროკურორი მიმდინარე წელს მენტორობას გაუწევს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართულებით სპეციალიზებულ 15 პროკურორს.

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იყო ქალთა მკვლელობების საქმეებზე. სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში, 2 სასწავლო აქტივობა ჩატარდა. სწავლებაში საქართველოს პროკურატურის 34 მენეჯერი და სპეციალიზებულმა პროკურორი იყო ჩართული. კურსის ფარგლებში მიმოხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტის უახლესი გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ და სახელმწიფოს ვალდებულებები გადაწყვეტილებების

ეფექტიანად აღსრულების პროცესში. მონაწილეებმა ასევე განიხილეს ფემიციდის სახეები და ტიპები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით.

საინფორმაციო კამპანია ფემიციდის წინააღმდეგ „არა ფემიციდს“.

საქართველოს პროკურატურამ 2022 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენს. კამპანიის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სპეციალიზებულმა პროკურორებმა საქართველოს ყველა რეგიონში, მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

2022 წლის 6 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კამპანიის ფარგლებში სულ 76 ღონისძიება ჩატარდა.



კამპანიის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობასთან ჩატარდა 50-მდე საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, გორი, მცხეთა, ხაშური, რუსთავი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, გარდაბანი, ასპინძა, ნინოწმინდა, ახალციხე, დუშეთი, გურჯაანი, თელავი, ახმეტა, სიღნაღი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქუთაისი, თერჯოლა, ამბროლაური, ზუგდიდი, სენაკი, მარტვილი, აბაშა, ხონი, ხობი, ჩხოროწყუ, ფოთი, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ბათუმი. ოზურგეთი, ხელვაჩაური.

პროკურორები შეხვდნენ ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობას. კამპანიის ფარგლებში სპეციალურად დამზადდა ბუკლეტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები თბილისში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში შეხვდნენ ძალადობაგამოვლილ მსხვერპლ ქალებს. შეხვედრებზე ბენეფიციარებს მათი უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდათ. ასევე, ისაუბრეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა საჭიროებების გათვალისწინებაზე პროკურორების საქმიანობაში, მათთვის სპეციალური სერვისების მიწოდებაზე, სამართალწარმოების პროცესში ძალადობის შესახებ ინფორმაციის დროულად შეტყობინების მნიშვნელობასა და მათთვის საინტერესო სხვა სამართლებრივ საკითხებზე. მსხვერპლებმა პროკურორებს გაუზიარეს სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებული მოლოდინები და საკუთარი ძალადობრივი გამოცდილება.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში პროკურატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახალგაზრდების ჩართულობას ანიჭებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფემიციდის კამპანიის ფარგლებში 12 საჯარო ლექცია ჩატარდა სხვადასხვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან. პროკურორებმა შეხვედრები ჩაატარეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის, გორის, თელავის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. შეხვედრებზე პროკურორებმა განიხილეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, ასევე ქალთა მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის ასპექტები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასთან და სასამართლოში საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებული საკითხები.

სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მანდატურებსა და მოსწავლეებთან ჩატარდა 8 საინფორმაციო შეხვედრა. კამპანიის ფარგლებში, სპეციალიზებულმა პროკურორებმა 4 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისის ყველა ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან. შეხვედრებს საერთო ჯამში 190 კოორდინატორი დაესწრო. შეხვედრების ფარგლებში პროკურორებმა საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საკანონმდებლო რეგულირებაზე, აღნიშნული დანაშაულების სპეციფიკასა და დანაშაულთა პრევენციისთვის საზოგადოების და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისა და მათი უფლებების დაცვის საკითხებს.

2022 წლის 25 ოქტომბერს, უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, პროკურორებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს. მულტისექტორულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო

სექტორის წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული დანაყოფის სპეციალიზებული პროკურორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

შეხვედრის მონაწილეებმა ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთა დაცვის, მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესის მნიშვნელობაზე იმსჯელეს. ასევე, შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია მათი საქმიანობის და იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით დაზარალებულებს ან მსხვერპლებს სთავაზობენ. შეხვედრის შემდგომ, საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მომზადდა პლატფორმა, რომელზეც განთავსდა საკონტაქტო ინფორმაცია მსხვერპლთათვის სერვისების მიმწოდებელი ყველა ორგანიზაციისა და მათი სერვისების შესახებ. აღნიშნულ პლატფორმაზე წვდომის შესაძლებლობა გააჩნიათ სპეციალიზებულ პროკურორებსა და კოორდინატორებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად სწრაფად გადაამისამართონ ძალადობის მსხვერპლი ქალები შესაბამის ორგანიზაციებში.

2022 წლის 11 ნოემბერს, პროკურატურის ორგანიზებით, კახეთში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მულტისექტორული ადგილობრივი საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროკურორებმა, შეხვედრის მონაწილეებს ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ, პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და რეგიონში არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ღონისძიების მონაწილეებმა იმსჯელეს ქალთა მიმართ ძალადობრივი დანაშაულების გამომწვევი მიზეზებისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ. სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განსაზღვრეს შემდგომი, კოორდინირებული აქტივობები რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართულებით ვითარების დადებითი ცვლილებისათვის.

2022 წლის 1 ნოემბერს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench&Bar) ფორმატში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრაში, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები მონაწილეობდნენ. ევროპის საბჭოსა და სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID) მხარდაჭერით გამართული შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ფემიციდის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე არსებული გამოწვევები.

2022 წლის 29 ნოემბერს, ფემიციდის დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების თემაზე, გენერალურ პროკურატურაში კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ფემიციდის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული აქტივობების შესახებ, კონფერენციის მონაწილეებს პრეზენტაცია წარუდგინეს. კონფერენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მიმოიხილეს ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები. გარდა ამისა, იმსჯელეს ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევებსა და სხვა მნიშვნელოვან კრიმინოლოგიურ ასპექტებზე. კონფერენციის

მონაწილეებს ქალთა მკვლელობების 2018-2022 წლის ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი წარედგინათ. მონაწილეებმა განიხილეს მოძალადეთა მიმართ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობები. ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენაზე საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[5].

2022 წლის 1 დეკემბერს, სპეციალიზებულმა პროკურორებმა სსიპ ,,სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს" სოციალურ მუშაკებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ფარგლებში პროკურორებმა სოციალურ მუშაკებთან განიხილეს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ყურადღება გამახვილდა ძალადობის შედეგად დაზარალებულების, მათ შორის არასრულწლოვნების დაცვის, მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესზე. სისხლის სამართლის საქმეებში ჩართულმა სოციალურმა მუშაკებმა პროკურორებს მიაწოდეს ინფორმაცია მსხვერპლთა საჭიროებებზე სამართალწარმოების პროცესში, ასევე იმსჯელეს გამოძიების პროცესში არსებულ გამოწვევებზე.

,,არა ფემიციდის" კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია პროკურატურის თანამშრომელთა განგრძობადი განათლებისკენ. კვალიფიკაციის ამაღლებისა და საპროკურორო საქმინობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კამპანიის ფარგლებში, რამდენიმე სასწავლო აქტივობა განხორციელდა. კერძოდ:

2022 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს პროკურატურაში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე, მეორე მენტორინგის პროგრამა დაიწყო. პროგრამის დაწყებას წინ უძღოდა 2022 წლის 21-23 ივნისს, ქ.ბუდაპეშტში, ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე ტრენერთა ტრენინგი, სადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს პროკურატურიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე ხუთმა სპეციალიზებულმა პროკურორმა სიღრმისეული გადამზადება გაიარა. გადამზადებული პროკურორები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე, მენტორობას სპეციალიზებულ 10 პროკურორს გაუწევენ. მენტორინგის პროგრამა 8 თვის განმავლობაში გრძელდება და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

2022 წლის 19 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, HELP-ის პროგრამის სასწავლო კურსი „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა" დაიწყო. HELP-ის პროგრამის სასწავლო კურსის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების იმ მექანიზმების და ინსტრუმენტების გაცნობა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ოჯახურ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის პროცესში. სასწავლო კურსი ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ არის შემუშავებული და სპეციალიზებული პროკურორების მეხუთე ჯგუფისთვის განხორციელდა.

2022 წლის 3 ნოემბერს დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების

[5] https://pog.gov.ge/uploads/df898345-femicidi-2022-The-POG-09-12-2022-PDF.pdf
https://pog.gov.ge/uploads/3e5875da-Femicide-2022-The-POG-eng-09-12-2022-2.pdf

თაობაზე“. საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, რეკომენდაციების, კონვენციათა განმარტებითი ანგარიშების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად და მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის აღსადგენად საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება.

საქართველოს პროკურატურაში ჩატარებული გენდერული აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN WOMEN-ის ექსპერტული მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 31 ოქტომბრის №207-გ ბრძანებით, დამტკიცდა პროკურატურის 2022-2027 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პროცესი მოიცავდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

სტრატეგიის ხედვა გენდერულად მგრძნობიარეა და მოიცავს დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობას, ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელებას. საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სტრატეგია ორი სტრატეგიული მიზნისგან შედგება:

- საქართველოს პროკურატურაში თანასწორი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა;
- საქართველოს პროკურატურაში ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება.

სტრატეგიული მიზნები სრულ თანხვედრაშია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან.

2022 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმით“ განსაზღვრული ვალდებულებისა და მექანიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს პროკურატურის 585 თანამშრომელი გადაამზადეს, მათ შორის მენეჯერები, პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, სტაჟიორები, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, პროფესიული საჯარო მოხელეები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

კამპანიის ფარგლებში, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებისა და პროკურორების მონაწილეობით, მომზადდა 8 ვიდეო რგოლი. მსახიობებმა, მხატვრებმა, სპორტსმენებმა, ჟურნალისტებმა და ექიმებმა გაახმოვანეს ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის მთავარი სლოგანები, რომლებიც ერთი მხრივ, საზოგადოებას და მსხვერპლებს მოუწოდებს განაცხადონ ძალადობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მოძალადეებს აფრთხილებს, რომ ძალადობა დანაშაულია და სახელმწიფოს მიერ ისჯება მკაცრად.

კამპანიისა და ძალადობის შესახებ საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისათვის, პროკურორებმა მონაწილეობა მიიღეს 6 სატელევიზიო გადაცემაში, ჩატარდა 1 ბრიფინგი; გამოქვეყნდა „რადიო

თავისუფლებასთან“ ჩაწერილი ინტერვიუ ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის დანაშაულების თემაზე - „ახალი წელი ქალების გარეშე - ფემიციდი 2022 წელს“.

კამპანიის შესახებ საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისათვის, საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და რეგიონებში განთავსდა 23 სარეკლამო აბრა და 15 სარეკლამო ვიდეო-მონიტორი. საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში აქტიურად ქვეყნდებოდა სიახლეები კამპანიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2022 წლის 25 ოქტომბერს, კამპანიის ფარგლებში გამოცხადდა არტ-ნამუშევრების კონკურსი „არა ფემიციდს“. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ არტ ნამუშევრები ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის თემაზე (ნახატი, ქანდაკება, ფოტოსურათი და სხვა კომპოზიცია). მთელი საქართველოს მაშტაბით კონკურსში მონაწილეობა მიიღო 75-მა ავტორმა. 2023 წლის 13 იანვარს სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა და გამოავლინა არტ-ნამუშევრების კონკურსის 4 გამარჯვებული. გამარჯვებული ნამუშევრების ავტორები სპეციალური სიგელებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

კამპანიის ფარგლებში პროკურატურამ ითანამშრომლა საერთო ჯამში 15-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სახელმწიფო უწყებასთან.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტიულ მიმართულებას წარმოადგენს ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა.

2021 წლის 16 მარტის ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 10 აპრილიდან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებას მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები ახორციელებენ.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სპეციალიზაციის შემოღების, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებისა და დანერგვის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ კატეგორიის დანაშაულებზე საპროკურორო საქმიანობა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემების გაორმაგებაში გამოიხატა.



2022 წელს მიმდინარეობდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეების მონიტორინგი. შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების საქმეები და სასამართლო გადაწყვეტილებები. იდენტიფიცირებულ იქნა გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები, ასევე, ყურადღება მიექცა ნორმათა ურთიერთგამიჯვნის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დევნის დასაწყებად და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს, სასამართლოს დასაბუთებას გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას. მომზადდა შესაბამისი ანალიზი, რომლის გათვალისწინებითაც სამომავლოდ იგეგმება სახელმძღვანელო მითითებების განახლება.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ მიღწეული პროგრესი, ასევე დროულად გამოვლინდეს ხარვეზები და სწორად დაიგეგმოს სამომავლო ნაბიჯები.

2022 წლის 4 მარტიდან თბილისში ამოქმედდა სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლი/დაზარალებული ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), რომლის მომსახურების მიღება შეუძლიათ თბილისის ტერიტორიაზე არსებულ იმ საგამოძიებო ორგანოებსა და პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებს, რომლებიც იძიებენ/საპროცესო ხელმძღვანელობას და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ახორციელებენ არასრულწლოვნის წინააღმდეგ ჩადენილ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ და მომიჯნავე დანაშაულებზე.

2022 წელს, პროკურატურის წარმომადგენელები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესების, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით ჩატარებულ უწყებათაშორის შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრების მიზანია მოხდეს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესება - დაინერგოს საპროცესო ნორმათა აღსრულების ისეთი პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვას.
2022 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში პროკურორებისთვის და პროკურატურის მენეჯერებისათვის ჩატარდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსი. ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ. სწავლების ფარგლებში ასევე დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ნორმათა ურთიერთგამიჯვნის საკითხები, სქესობრივი დანაშაულების გამოძიების პრობლემური საკითხები, მტკიცებულებები და მტკიცებულებითი სტანდარტი, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, არასრულწლოვან დაზარალებულთან დაკავშირებული საკითხები, გენდერული დისკრიმინაციის მოტივი სქესობრივ დანაშაულებში და სხვა. განხილულ იქნა საქმეთა მონიტორინგისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე განხილულ იქნა სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები.

პროკურატურა, უწყვეტი გადამზადების სისტემის ფარგლებში, მომავალშიც გეგმავს სქესობრივი დანაშაულის სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას, რაც საუკეთესო საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს დაეფუძნება.

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის და მეტი პროგრესის მისაღწევად საქართველოს პროკურატურაში განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- გაგრძელდება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სპეციალიზაცია ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი დანაშაულების თემაზე. უწყვეტი და განგრძობადი განათლების ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნება სპეციალიზებული თანამშრომლების მუდმივი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

- შესწავლილ იქნება ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვა, საჭიროების შემთხვევაში დამატებით განისაზღვრება სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა.

- აქტიურად გაგრძელდება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულების საქმეთა მონიტორინგი.

➢ ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით გაანალიზდება სასამართლოს გადაწყვეტილებები - განაჩენები და განჩინებები, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და სასჯელების დანიშვნის პრაქტიკა, რათა ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო სასჯელებისა და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას. მოხდება სასამართლო პრაქტიკის გაცნობა პროკურორებისთვის და გათვალისწინება სასწავლო მოდულში. შემუშავდება სახელმძღვანელო მითითება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ. განახლდება სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

➢ გაგრძელდება პროკურატურის თანამშრომლობა სასამართლოსა და სხვა უწყებებთან, ქალთა მიმართ გენდერული, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

➢ გაუმჯობესდება სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) მოთხოვნათა შესაბამისად და პერიოდულად მოხდება ოჯახურ დანაშაულზე, ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და სქესობრივ დანაშაულებზე არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება პროკურატურის ვებ-გვერდზე.

➢ გაიზრდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე.

➢ განხორციელდება „მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის კვლევა“, რომლის ფარგლებშიც მოხდება სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა. შეფასდება, თუ რამდენად მიიღწევა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში, აგრეთვე კვლევა დაადგენს დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის განმაპირობებელ ფაქტორებს.

➢ გაგრძელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა ოჯახურ და სქესობრივ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ.

➢ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები აქტიურად ჩაერთვებიან ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი დანაშაულების საქმეებში მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, ემოციური და ინფორმაციული მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული ფუნქციის სრულყოფილად შესასრულებლად გადამზადდებიან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

➢ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ჩატარდება მულტიდისციპლინური შეხვედრები სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან და

უწყებებთან, მათი თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების, არსებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით. აღნიშნული უზრუნველყოფს დაზარალებულთა საჭიროებების დროულად დაკმაყოფილებას.

- შესწავლილ იქნება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების დატვირთვა. განხორციელდება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი და გაანალიზდება შედეგები. კოორდინატორთა ჩართულობა უფრო ეფექტიანს გახდის ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მუშაობას.

- ასევე მოხდება მოწმისა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, რაც ხელს შეუწყობს ამ დანაშაულების მსხვერპლთა ეფექტიან დაცვას და დროული დახმარების აღმოჩენას, მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების შემცირებას.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2020 წლიდან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს. ამ ეტაპზე სპეციალიზებულია 150 თანამშრომელი, მათ შორის - 35 მენეჯერი, 97 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 18 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, რომელიც გამოიხატა სპეციალიზაციის დანერგვაში, სპეციალიზებულ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და განგრძობად ტრენინგებში, მემორანდუმით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებასა და პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა.

2016-2022 წლის მონაცემებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 2681 პირის მიმართ. ბოლო წლებში, შენარჩუნებულია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მზარდი ტენდენცია.

2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 1172 პირის მიმართ, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 40.5 %-ით და ასევე, 73.6 %-ით აღემატება 2016-2020 წლების ჯამურ მონაცემს - 675 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

2022 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დისკრიმინაციის შემდეგი ნიშნებით:



2022 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მომზადდა 2018-2021 წლებში რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც მოიცავს რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, ბრალდებულისა და დაზარალებულის მახასიათებლებს, დანაშულის ჩადენის ადგილთან და ძალადობის ფორმასთან დაკავშირებულ გარემოებებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. აღნიშნული ანალიზის შედეგები ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[6].

2022 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „დისკრიმინაციის ნიშნით

[6] https://pog.gov.ge/uploads/dd560d96-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi-GEO-2018-2021.pdf
https://pog.gov.ge/uploads/8bc14bbf-Motive-of-Religious-Intolerance-ENG-2018-2021.pdf

შეუწყნარებლობის მოტივის ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“.

2022 წლის 1 მარტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე პირველად გამოქვეყნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სრული- 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები[7].

2022 წლის 9-10 ივნისსა და 17 ნოემბერს, ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარგლებში, მემორანდუმის მონაწილე მხარეებმა ერთობლივი სამუშაო შეხვედრები გამართეს. საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს, ასევე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა იმსჯელეს სტატისტიკის წარმოების პროცესში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე.

2022 წლის 10-12 ივლისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელოში - „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პრინციპები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით“, მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი და ტენდენციები დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშნებით წარმოებულ საქმეებზე.

2022 წლის 3-5 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პროკურატურის მენეჯერებმა და მოსამართლეებმა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას, რომელიც ევროპის საბჭოს პროექტის - „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. ასევე განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების სტანდარტი, სასამართლოში საქმის განხილვის სპეციფიკა და პრეცედენტული გადაწყვეტილებები. ხაზი გაესვა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე ერთგვაროვანი მიდგომის მნიშვნელობასა და მართლმსაჯულების ხარისხის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საერთო მიმართულებები დაისახა.

საქართველოს პროკურატურა მეოთხე წელია აქტიურად მონაწილეობს ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“. კამპანიის ფარგლებში, 2022 წლის 24-25 ივნისს, პროკურორებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მონაწილეობა მიიღეს ,,Tbilisi Open Air“-ის ფესტივალში. ფესტივალზე დამსწრე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით,

[7] https://www.geostat.ge/media/43558/diskriminaciis-niSniT_2021.pdf https://www.geostat.ge/media/43559/Hate-crimes-2021.pdf

პროკურატურის წარმომადგენლებმა დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიაწოდეს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე პროკურატურის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ. ასევე, მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს აქტივობებში, რომელთა მიზანს თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა. თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით, საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება და ახალგაზრდა თაობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

2022 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, თანასწორობის კვირეულის ფარგლებში სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სპეციალიზებულმა პროკურორებმა დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების საკანონმდებლო რეგულირებასა და კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკულ ასპექტებზე ისაუბრეს. განიხილეს თანასწორობის დაცვის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და რეფორმები, ასევე აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოწვევები.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ შეკითხვები მათთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრის დასასრულს, სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები წარწერებით - „მე ვირჩევ თანასწორობას“ გადაეცათ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მათთვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი მისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მიმართულებით საქმიანობისას საერთაშორისო პრინციპი „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე" პროკურატურის მთავარი პრინციპია.

2022 წელს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელდა.

კერძოდ, საქართველოს პროკურატურაში მომზადდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[8]

საქართველოს პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის ძირითად მიზანს შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და

[8] https://pog.gov.ge/uploads/4e828b09-saqarTvelos-prokuraturis-shshm-pirTa-uflebebis-dacvis-samoqmed.pdf

დისკრიმინაციისაგან დაცვა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს პროკურატურამ ოთხი ამოცანა შეასრულა.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, 2022 წელს საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები საქმეების პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“, და „არასრულწლოვან შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგს.
- მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მომზადდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც მოიცავს შშმ პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ტენდენციებსა და გამოწვევებს. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[9].
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების, ასევე შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, 2022 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან. პროკურორებმა, შეხვედრის მონაწილეებს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები წარუდგინეს.

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს პროკურატურამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის

[9] https://pog.gov.ge/uploads/0de57c62-shshm-pirTa-analizi-05-12-2022.pdf
https://pog.gov.ge/uploads/aeefaabf-PWD-study-eng-PDF.pdf

დეპარტამენტი 2016 წლიდან აწარმოებს სპეციალურ სტატისტიკას, როგორც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ასევე ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულების ფაქტებზე.

კერძოდ, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, 2015-2021 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. 2022 წელს კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 8 ჟურნალისტი.

ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულის ფაქტებზე, 2016-2021 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 29 პირის მიმართ.

2022 წელს კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 83 ჟურნალისტი და 5 ტელე/რადიო სამაუწყებლო კომპანია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგს ახორციელებს უფლებადამცველების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე და პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითების „ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თაობაზე" შესრულებას.

2022 წელს უფლებადამცველების მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითების პრაქტიკაში ეფექტიანად იმპლემენტაციის მიზნით, ორთვიანი ინტენსიური მომზადების კურსის ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის 38 სტაჟიორ-პროკურორი.

რაც შეეხება სტატისტიკას, 2018-2021 წლებში უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ.

2022 წელს კი უფლებადამცველების მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 7 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 18 უფლებადამცველი.

ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი საქართველოში 2011 წლიდან ამოქმედდა. 2015 წლიდან პროკურატურაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, უწყების თანამშრომლების პროფესიული განვითარების და ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებისთვის მუდმივად ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

2022 წლის 27 მაისს შეიქმნა საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე ზედამხედველობისა და სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც კვლავ უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით მსაჯულთა განსახილველი საქმეების (მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევები) მონიტორინგს, რაც მაქსიმალურად დააზღვევს პროცესს ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან. გარდა ამისა, დეპარტამენტი გააგრძელებს მსაჯულთა სასამართლო პროცესებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას და, ამავე დროს, მოამზადებს რეკომენდაციებს საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა ხარვეზების აღმოფხვრის, ასევე, სასამართლო განხილვის დაჩქარებისა და გამარტივების მიზნით. პროცესის გამარტივებისა და დაჩქარების ფონზე, დეპარტამენტი ფოკუსირებას მოახდენს ხარისხის გაუმჯობესებასა და პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

დეპარტამენტის სტრუქტურა მოიცავს ორ სამმართველოს, რომელთა ფუნქციებიც ორი მიმართულებით განისაზღვრა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე ზედამხედველობის სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა და მონიტორინგი;
- მიმდინარე გამოძიებისას სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორისთვის მითითების მიცემა;
- გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პროცესში ხარვეზების თავიდან არიდების მიზნით, არსებული პრაქტიკის განზოგადება და სათანადო ანალიზი;
- გენერალური პროკურორის ან გენერალური პროკურორის უფლებამოსილი მოადგილის დავალებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველი საქმეების შესწავლა და სასამართლო პროცესების მონიტორინგი;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი პროკურორისთვის მითითების მიცემა;
- რეკომენდაციების მომზადება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის პროცესში ხარვეზების თავიდან არიდებისა და სათანადო სტრატეგიის შემუშავების მიზნით;
- გენერალური პროკურორის ან გენერალური პროკურორის უფლებამოსილი მოადგილის დავალებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

დეპარტამენტის ამოქმედებიდან პროკურორებმა შეისწავლეს 62 სისხლის სამართლის საქმე და გასცეს 46 წერილობითი რეკომენდაცია. რეკომენდაციები ძირითადად შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეებს და მოიცვა, როგორც მიმდინარე გამოძიების სრულყოფისათვის საჭირო საკითხები ასევე, გამოძიებით დადგენილი ფაქტების სწორ სამართლებრივ შეფასებაზე მოსაზრებები.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ამოქმედებიდან დღემდე განხილულ საქმეებს, სულ გაიმართა 77 სისხლის სამართლის საქმის პროცესი, რომელთაგან 54 საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით, 8 სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა სამოხელეო და ფინანსურ დანაშაულებს, ხოლო 3 საქმე შეეხებოდა ოჯახში მომხდარ ძალადობას, 3 საქმე - თავისუფლების უკანონო აღკვეთას, 4 - საქმე არაადამიანურ მოპყრობას და 2 საქმე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

მკვლელობის 54 სისხლის სამართლის საქმიდან 38-ზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 3 საქმეზე მსაჯულთა შემადგენლობამ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ვერდიქტი და შეიცვალა არსებული კვალიფიკაცია, 3 საქმეზე ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილნი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, 9 საქმეზე კი დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი (ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთი დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობის კვალიფიკაციით, ხოლო მეორე ამავე ბრალდებაში გამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვა ბრალდებით).



დანარჩენი 20 სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა ძირითადად თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ასევე, იმ დანაშაულებს, რომლებიც არ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას.

აღნიშნული საქმეების განხილვის დასასრულს 7 შემთხვევაში მსაჯულებმა მიიღეს გამამტყუნებელი, ხოლო 13 საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტი. ამ საქმეთა შორის აღსანიშნავია ოჯახში ძალადობის საქმე, რომელიც 2022 წლის დასაწყისში განიხილა მსაჯულთა შემადგენლობამ.

მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ცნობადობისა და საზოგადოების სკეპტიკურად განწყობილი ნაწილის დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით, პროკურატურა ყოველწლიურად აორგანიზებს შეხვედრებს მოქალაქეთა სხვადასხვა სეგმენტთან. მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან. მონაწილეებმა დისკუსია გამართეს ინსტიტუტის საჭიროებებისა და მოქალაქეთა ინფორმირების საკითხებზე. საუბარი შეეხო ასევე იმ დანაშაულებს, რომლებსაც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, მათი მაინკრიმინირებელი შემადგენლობების სპეციფიკას და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების გავლენას სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში.

2022 წლის აგვისტოში პროკურატურაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების შესაბამისად მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლი, რომლის შინაარსმა მოიცვა ინსტიტუტის მოქმედების 11 წლიანი პერიოდის მნიშვნელოვანი მიღწევები და ასევე, მთავარი გამოწვევები, უწყების ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიებები და სხვა აქტორებთან ერთობლივი მუშაობით გადადგმული პროგრესული ნაბიჯები.

2022 წლის 28 ნოემბრიდან 3 დეკემბერის პერიოდის ჩათვლით, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს აქტიური დახმარებით გაიმართა მასშტაბური ღონისძიება ,,იმიტირებული სასამართლო პროცესები“. პროექტი განხორციელდა 2021 წელს დაწყებული კამპანიის ,,გახდი ნაფიცი მსაჯულის“ ფარგლებში და მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 15 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ადვოკატებმა და მოსამართლეებმა. პროექტის მიმდინარეობის დროს უწყების წარმომადგენლებმა სემინარი გამართეს სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებზე და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილე 60-მდე სტუდენტი გადაამზადეს. ღონისძიების დასკვნითი პროცესი გაიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და მას საქართველოს პროკურატურის, ადვოკატთა კორპუსისა და სასამართლო სისტემის უმაღლეს თანამდებობის პირებთან ერთად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დაესწრო.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა

2022 წელი ნაყოფიერი იყო საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების კუთხით:

პროაქტიურად გაგრძელდა საპროკურორო საქმიანობის ხარისხის შეფასება, რამაც საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სამართლებრივი წერისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის შემოწმებასთან ერთად, საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებაც მოიცვა. 2020-2021 წლებში პროკურორთა საქმიანობის ხარისხის შეფასებისას

გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ანალიზის დოკუმენტი, რაც გაეცნოთ პროკურორებს. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სამართლებრივი ანალიტიკის და საერთაშორისო კვლევების ჩატარების მიმართულებით.

ანალიტიკური/კვლევითი საქმიანობა

2022 წელს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის შემოწმების ფარგლებში გაგრძელდა სისხლის სამართლის საქმეთა/სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თემატური შესწავლა და შესაბამისი ანალიზების მომზადება.

- 2022 წელს შესწავლილ იქნა 2021 წელს და 2022 წლის პირველი ნახევარში გამოტანილი ნაწილობრივ და სრულად გამამართლებელი განაჩენები. შესწავლის შედეგად დაიდენტიფიცირდა და გაანალიზდა გამოძიებისა და საქმის განხილვის პროცესში არსებული ხარვეზები, რაც საფუძვლად დაედო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, მათ შორის, გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზები, საპროცესო დარღვევები, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანობა, საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზები და სხვა. კვლევის მიზანია, გამოვლენილი ტენდენციების პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის პროაქტიურად გაზიარება სამომავლოდ საპროცესო და კვალიფიკაციის ხარვეზების დაშვების მინიმიზების მიზნით. ასევე, შესწავლილ იქნა ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც 2021 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამართლებელი ვერდიქტი და მომზადდა თემატური ანალიზი.

- შესწავლილ იქნა ყველა სისხლის სამართლის საქმე, სადაც 2021 წლის ბოლო 6 თვისა და 2022 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე შეცვალა კვალიფიკაცია; პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული გაათავისუფლა დაკავებიდან; უკანონოდ ცნო გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება; უარი თქვა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე; წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისა თუ ნორმის განმარტების შესახებ ინფორმაცია ანალიზის სახით გაზიარდა საქართველოს პროკურატურის ყველა რგოლთან. ინფორმაციის გაცნობა და გათვალისწინება სამომავლოდ ხელს შეუწყობს გამოძიების, საპროცესო ზედამხედველობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებას.
- საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ 2021 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, 2022 წელს მომზადდა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების განმარტებების სახელმძღვანელო დოკუმენტი. ასევე, 2022 წელს მომზადდა სახელმძღვანელო, რომელიც ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2022 წლის 9 თვის (იანვარი-სექტემბერი) განმავლობაში და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2022 წლის განმავლობაში მიღებულ ყველა პრეცედენტულ გადაწყვეტილებას. აღნიშნული სახელმძღვანელოები პროკურორებს მისცემს შესაძლებლობას ნაკლები დროისა და

რესურსების პირობებში, პროაქტიურად ადევნონ თვალი იურიდიულ პროფესიასა და პრაქტიკაში არსებულ სიახლეებს. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პროკურორებს სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმათა განმარტებაში, გადაწყვეტილებების, საჩივრებისა და შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

- შესწავლილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე და 170-ე მუხლებით დაკვალიფიცირებული 200-მდე სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა 2019-2021 წლებში დაიწყო. საქმეთა შესწავლის საფუძველზე მომზადდა ანალიზი - „სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ეფექტიანობა“, რომელიც მოიცავს როგორც მონაცემთა ანალიტიკას, ასევე, შინაარსობრივ კომპონენტს. ჩატარებული კვლევა აერთიანებს ზემოთ მითითებული მუხლებით კვალიფიცირებულ საქმეთა გამოძიების ხარისხის ამაღლებისთვის საჭირო მთელ რიგ მიმართულებებს: ბლანკეტურ ნორმათა დეტალური ანალიტიკა, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტი მოწმის დაკითხვის სირთულეები და სხვა. კვლევის მიზანია ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა დანაშაულის კვალიფიკაცია, ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტი საკითხები, დაზარალებულად ცნობა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებელი პირების სწორად იდენტიფიცირება.
- შესწავლილი იქნა 650-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს/მოქალაქეობის არმქონე პირებს და მომზადდა შესაბამისი ანალიზი. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა ტენდენციები, მუხლობრივი მაჩვენებელი და დანაშაულის ჩადენის მოტივები. დადგინდა ტერიტორიული ერთეულები ან/და კონკრეტული ადგილები, რომლებშიც ყველაზე მეტია ასეთი დანაშაულის მაჩვენებელი, ანალიზში ყურადღება დაეთმო ასევე დაზარალებულების და ბრალდებულების პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა - ასაკი, სქესი, ეროვნება თუ სხვა ნიშნები. კვლევის მიზანი იყო ასევე იმის დადგენა, წარმოებს თუ არა მსგავსი ტიპის საქმეებზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, დროულად ხდება თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაზარალებულად ცნობა და მათი ჩართულობით, შესაბამისი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარება.
- შესწავლილ იქნა სსკ-ის 177-ე, 178-ე, 187-ე მუხლებით გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმეები. შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე როგორც გამოძიების, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული ხარვეზები და პროკურორებისთვის გაცნობის მიზნით მომზადდა შესაბამისი ანალიზის დოკუმენტები, რათა მომავალში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ხარვეზების დაშვების ალბათობა.
- მომზადდა საერთაშორისო კვლევები შემდეგ თემატიკაზე: აღკვეთის ღონისძიების სახით ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე; ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები ევროპის რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე; გადაუდებელი აუცილებლობისას დაკავების საფუძვლები, ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის მაგალითზე; სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლა, ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

სახელმძღვანელო მითითებები

2022 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები/სახელმძღვანელო მითითებები:

- ,,დისკრეციული უფლებამოსილებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის გამოყენების თაობაზე“;

- ,,არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებზე საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“, რაც დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 2 მარტის N36-გ ბრძანებით;

- სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 273[1] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე განრიდების გამოყენების თაობაზე;

- რეკომენდაციების პროექტი ცალკეულ ნარკოტიკულ და ძალადობრივ დანაშაულებზე ,,აღკვეთის ღონისძიებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“;

- რეკომენდაციის პროექტი ,,აღკვეთის ღონისძიებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“, რაც მოსაზრებების წარმოსადგენად დაეგზავნათ პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს;

- რეკომენდაციის პროექტი ,,ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“;

- რეკომენდაციის პროექტი შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე (სსკ-ის 170-ე და 240-ე მუხლები) გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით;

- მიმდინარეობს ცალკეულ საფინანსო-ეკონომიკურ დანაშაულებზე ,,აღკვეთის ღონისძიებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“ რეკომენდაციის განახლება.

- საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს გავრცელებულ დანაშაულებზე ჩასატარებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებათა სრულყოფილი სტანდარტების დამკვიდრებას და გამოძიების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სახელმძღვანელო დოკუმენტი მნიშვნელოვნად დაეხმარება პრაქტიკოს პროკურორებსა და გამომძიებლებს საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში, გაზრდის, როგორც საპროკურორო

ზედამხედველობის, ასევე, გამოძიების ხარისხს, ხელს შეუწყობს საქმეებზე გამოძიების დროულად დასრულებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 822 თანამშრომელი, მათ შორის, 336 ქალი და 486 მამაკაცი.

822 თანამშრომლიდან:

- 416 არის პროკურორი, მათ შორის 140 ქალი, 276 - მამაკაცი;
- 81 არის გამომძიებელი, მათ შორის 9 ქალი, 72 - მამაკაცი;
- 136 არის პროფესიული საჯარო მოხელე, მათ შორის 118 ა ქალი, 18 - მამაკაცი;
- 153 არის ხელშეკრულებით მიღებული თანამშრომელი, მათ შორის 53 ქალი, 100 - მამაკაცი.
- 36 სტაჟიორი, მათ შორის 16 ქალი და 20 მამაკაცი.

822 თანამშრომლიდან მენეჯერულ პოზიციას იკავებდა 140 თანამშრომელი, მათ შორის 17 ქალია. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ქალებიდან:

- 1 არის გენერალური პროკურორის მოადგილე;
- 4 არის დეპარტამენტის უფროსი;
- 2 არის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- 2 არის სამმართველოს უფროსი;
- 1 არის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 3 არის რაიონული პროკურორი;
- 4 არის რაიონული პროკურორის მოადგილე.

2022 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინიშნა 81 ახალი თანამშრომელი- მათ შორის 7 პროკურორი, 3 გამომძიებელი, 3 პროფესიული საჯარო მოხელე, 38 სტაჟიორი და 30 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

2022 წელს საქართველოს პროკურატურიდან დათხოვნილ იქნა 45 თანამშრომელი - მათ შორის 21 პროკურორი, 2 გამომძიებელი, 3 პროფესიული საჯარო მოხელე, 2 სტაჟიორი და 17 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

განხორციელდა 140 შიდა საკადრო გადაადგილება და სახელმწიფო სპეციალური წოდება მიენიჭა 161 თანამშრომელს.

2022 წელს წახალისებულ იქნა 366 თანამშრომელი, მათ შორის:

- 283 თანამშრომელს გამოეცხადა მადლობა,
- 70 თანამშრომელს მიენიჭა ვადამდე წოდება,
- 11 თანამშრომელს მიენიჭა პროკურატურის საპატიო თანამშრომლის წოდება და დაჯილდოვდა შესაბამისი სამკერდე ნიშნით,
- 2 თანამშრომელს კი ვადაზე ადრე მოეხსნა დისციპლინური სახდელი.

2022 წელს პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 12 ღია კონკურსი, ხოლო ხელშეკრულებით მისაღები პირის შესარჩევად 2 გამარტივებული კონკურსი.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის შინაგანაწესის“ შესაბამისად, შრომითი ეფექტიანობის გაზრდის და თანამშრომელთა მოტივიაციის ამაღლების მიზნით შემოღებული იქნა დამატებითი დასვენების დღეებით ე.წ ,,Day off“ - ით სარგებლობის შესაძლებლობა.

გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება

გენერალური პროკურორის 2021 წლის 3 დეკემბრის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი დამტკიცდა. გენდერული აუდიტით განსაზღვრული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი და სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, ასევე შეიქმნა მხარდაჭერის ჯგუფი.

სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია, მექანიზმის დებულებათა დარღვევა იწვევს პროკურატურის თანამშრომლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. პირს უფლება აქვს სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივარი/განცხადება წარადგინოს სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ მისამართზე empower@pog.gov.ge.

2022 წელს საქართველოს პროკურატურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის დაიწყო ტრენინგების ციკლი თემაზე - სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე: პრევენცია და რეაგირების მექანიზმები. ტრენინგები მიზნად ისახავს, სექსუალური შევიწროებისგან დაცვის მექანიზმების, სექსუალური შევიწროების ფსიქო-სოციალური ფაქტორებისა და ინდიკატორების შესახებ მონაწილეთა ცოდნის ამაღლებასა და აღნიშნული მექანიზმის საქართველოს პროკურატურაში წარმატებით იმპლემენტაციას. სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომელთა პროაქტიული ინფორმირებისა და სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, თანამშრომლების კასკადური ტრენინგების პარალელურად, ტრენინგები ჩატარდა მენეჯერებისთვისაც.

2022 წელს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შესახებ ჩატარდა 19 სასწავლო აქტივობა და გადამზადდა პროკურატურის 424 თანამშრომელი. წლის ბოლომდე დაგეგმილია პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების გაგრძელება.
აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოს პროკურატურაში გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესებას და გენდერული აუდიტით განსაზღვრული რეკომენდაციების წარმატებით შესრულებას.
საქართველოს პროკურატურაში გენდერული აუდიტით განსაზღვრული რეკომენდაციის საფუძველზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტული მხარდაჭერით ამჟამად მიმდინარეობს

გენდერული თანასწორობის 6 წლიანი (2022- 2028 წლების) სტრატეგიისა და გენდერული თანასწორობის 3 წლიანი (2022-2025 წლების) სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მნიშვნელოვანია გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის მართვას ორგანიზაციაში ჰქონდეს თანმიმდევრული ხასიათი, გენდერული თანასწორობის პრინციპები აისახოს პროკურატურის სერვისებსა და საზოგადოებრივ იმიჯში, ხოლო ადამიანური რესურსების მართვაში დაინერგოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

სტაჟიორთა კონკურსი

საქართველოს პროკურატურის ახალი კადრებით შევსების ძირითადი საფუძველი სტაჟირების სისტემაა. პროკურატურა ახალი და კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა მისაღებად, ყოველ წელს ტრადიციულად აცხადებს კონკურსს.
2021 წლის 6 სექტემბერს გამოცხადებულ სტაჟიორთა კონკურსზე სულ განაცხადი 984-მა კანდიდატმა შემოიტანა. კონკურსის 4 ეტაპის გავლის შემდეგ (აპლიკაციების გადარჩევა, ტესტირება სპეციალობაში, ტესტირება ზოგად უნარებში და გასაუბრება) სტაჟირების გასავლელად შეირჩა 38 კანდიდატი (16 ქალი და 22 მამაკაცი) - 34 საპროკურორო და 4 გამომძიებლის უფლებამოსილებით. კონკურსის შედეგად შერჩეულმა 38 სტაჟიორმა საქართველოს პროკურატურის სასწავლო ცენტრში გაიარა 2 თვიანი სწავლება და 2022 წლის 6 ივნისიდან დაინიშნენ პროკურატურის ორგანოებში. სტაჟიორებს განესაზღვრათ სტაჟირების ხელმძღვანელები და მენტორები, მათ ასევე დაუდგინდათ სტაჟირების პროცესში შესასრულებელი აქტივობების მინიმალური პროგრამა. საქართველოს გენერალური პროკურატურის HR დეპარტამენტი ახორციელებს სტაჟირების გავლის პროცესის პერმანენტულ ზედამხედველობას. 2022 წლის ბოლოსთვის სტაჟირებას აგრძელებდა 36 სტაჟიორი. სტაჟიორ-პროკურორის და სტაჟიორ-გამომძიებლის ხელფასი 2020 წელს გაიზარდა და ყოველთვიურად 960 ლარი შეადგინა.

საკვალიფიკაციო გამოცდა

2022 წლის 12 ოქტომბერს გამოცხადდა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა განაცხადების მიღება. სულ შემოვიდა 693 განაცხადი, საიდანაც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 680, 4-მა მონაწილემ განაცხადის გამოგზავნის შემდეგ უარი განაცხადა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაზე.

რეგისტრირებული 676 მონაწილიდან საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადდა 379, ხოლო საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 56 პირმა, რომლებსაც შესაბამისი სერტიფიკატები.

პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზანია მაღალკვალიფიციური იურისტების შერჩევა შემდგომში პროკურატურაში სამუშაოდ მისაღებად. საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება გამოსაცდელი პირი პროკურორის/პროკურატურის

გამომძიებლის/სტაჟიორისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, საკმარისია თუ არა მისი თეორიული ცოდნა და შესწევს თუ არა მას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება აუცილებელია პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად/ სტაჟიორად დასანიშნად.

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ოცდაერთი წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ერთ ეტაპიანია, რომელიც ტარდება ელექტრონულად ტესტური მეთოდით და შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ 100 (ასი) არჩევით პასუხიან დავალებას. გამოსაცდელს, რომელიც ტესტურ გამოცდაში დააგროვებს 75 (სამოცდათხუთმეტ) ან მეტ ქულას, გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება.

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

2022 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების შიდა რესურსის გამოყენებით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით სულ 135 აქტივობა ჩატარდა, რომელშიც 1300 მდე მონაწილე იყო ჩართული.

ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

2022 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებითა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სასწავლო აქტივობები განხორციელდა:

- საქართველოს პროკურატურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში, სახალხო დამცველის ოფისის ჩართულობით სპეციალიზებული პროკურორებისა და მენეჯერებისათვის გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) თემაზე 2 ტრენინგი ჩატარდა.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე 16 პროკურორისთვის სპეციალიზაციის მორიგი კურსი ჩატარდა.
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან თანამშრომლობით, სამართალდამცავ უწყებებში მომუშავე ქალთა გაძლიერების, ემოციური ინტელექტის, ლიდერობისა და მენეჯმენტის განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ქალთა

ლიდერობის უნარების განვითარება, სადაც სხვა სამართალდამცავ უწყებებთან ერთად საქართველოს პროკურატურის 5 თანამშრომელი მონაწილეობდა.

- ევროკავშირის პროექტის - „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“ - ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის, ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა თემაზე „გენდერული გავლენის შეფასება (GIA)”.
- უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუდაპეშტში, ჩატარდა ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე მენტორინგის ტრენერთა ტრენინგი. სწავლება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის განხორციელდა და საქართველოს პროკურატურიდან მასში მონაწილეობას იღებდა ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულში სპეციალიზებული 5 პროკურორი, რომლებიც გადამზადების შემდგომ თავად უძღვებიან მენტორინგის 8 თვიან პროგრამას.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების მიზნით ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრაში, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა ერთმა პროკურორმა მიიღო.
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით პროკურატურის 2 თანამშრომელი იმყოფებოდა სასწავლო ვიზიტით უნგრეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ბუდაპეშტი, სადაც მათ ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის თემაზე ხუთდღიანი სასწავლო კურსი გაიარეს. კურსი ხსენებული კატეგორიის დანაშაულების გამოძიების და მსხვერპლთან კომუნიკაციის ტექნიკების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.
- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობისა და სხვა ევროპული სტანდარტების დანერგვა აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში“ ფარგლებში საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქ სტრასბურგში გამართულ სამუშაო შეხვედრას საქართველოს პროკურატურიდან სასწავლო ვიზიტით 2, ხოლო დისტანციურ ფორმატში 11 თანამშრომელი დაესწრო.
- საქართველოს პროკურატურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN WOMEN-ის თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი თემაზე - ,,სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე: პრევენცია და რეაგირების მექანიზმები“. ხსენებულ თემაზე 2022 წელს ჩატარებულ 26 სასწავლო აქტივობას პროკურატურის 513 თანამშრომელი (მენეჯერი, პროკურორი, გამომძიებელი, მრჩეველი, სპეციალისტი, ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი) დაესწრო. დაგეგმილია პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების გაგრძელება სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შესახებ.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლა

- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში 21 მენეჯერის და პროკურორისთვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე სპეციალიზაციის კურსი ჩატარდა.
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე 9 სპეციალიზებული პროკურორისთვის ორგანიზაცია „საფართან“ თანამშრომლობის ფარგლებში ორდღიანი ონლაინ ტრენინგი ჩატარდა თემაზე - „საერთაშორისო პრეცედენტული გადაწყვეტილებები გაუპატიურების დანაშაულზე“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროფესიონალებისთვის განგრძობადი სწავლების ფარგლებში, მათი პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამუშაო შეხვედრების ციკლი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა სპეციალიზებული პროკურორი და მენეჯერი. შეხვედრები მიზნად ისახავდა პრაქტიკაში არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების, ამავდროულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ახალი და განახლებული სახელმძღვანელო მითითებების განხილვას. 2022 წელს სამუშაო შეხვედრების ციკლის ფარგლებში ჯამურად 8 შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა სულ 190-მა პროკურორმა და მენეჯერმა მიიღო მონაწილეობა.
- გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) მხარდაჭერით, მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციითა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით გათვალისწინებული საკითხებზე 2022 წელს 4 ონლაინ ტრენინგი ჩატარდა, რომლებშიც საქართველოს პროკურატურის 26 თანამშრომელი მონაწილეობდა.
- გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან (GCRT) თანამშრომლობის ფარგლებში, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით 8 უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრებში იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად და საქართველოს პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული 45 პროკურორი მონაწილეობდა.
- საქართველოს პროკურატურის პროკურორმა აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღო „დალასის 34-ე ყოველწლიურ კონფერენციაში ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ“. ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კონფერენციაზე მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების მიერ განხილული იქნა ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან ბრძოლის თანამედროვე ტენდენციები.
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით ჩატარებულ ტრენინგში „სექსუალური ექსპლუატაციის

მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვა“, შსს-ს გამომძიებლებთან ერთად მონაწილეობა 6-მა პროკურორმა მიიღო. ტრენინგი ორ ჯგუფად თბილისსა და ბათუმში ჩატარდა. ტრენინგი ბავშვთა ექსპლუატაციის შემთხვევების გამოძიებას და მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შეეხებოდა.

- ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) ერთობლივი პროექტის - „სისხლის სამართლის პროფესიონალების შესაძლებლობების გაუმჯობესება დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვის მიმართ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების ეფექტური გამოყენების გზით“ - ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდთან თანამშრომლობით, დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან მუშაობის შესახებ ტრენინგი ჩატარდა პროკურორთა ორი ჯგუფისათვის (ჯამში 30 პროკურორი). ტრენინგი მოწმე და მსხვერპლ არასრულწლოვანთან მუშაობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ასევე არასრულწლოვნის გამოკითხვის მეთოდოლოგიას ეხებოდა.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და პრევენციული მექანიზმების დახვეწა. აღნიშნულ თემაზე 2022 წელს შემდეგი სასწავლო აქტივობები განხორციელდა:

- ევროპის საბჭოს პროექტის - „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“- ფარგლებში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზაციის მორიგი კურსი ჩატარდა. კურსი მოიცავდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკას, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ცნებასა და გამოძიების ტექნიკას, სიძულვილის ენას, შშმ პირთა უფლებებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კურსი მოიცავდა ფსიქოლოგიურ ნაწილსაც. სპეციალიზაციის კურსის საფუძველზე საქართველოს პროკურატურას შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული კიდევ 21 პროკურორი და გამომძიებელი შეემატა.
- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის ჩატარდა ჩაღრმავებული ტრენინგი თემაზე - „გამოძიების ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკული ასპექტები“. ტრენინგში საქართველოს პროკურატურის იმ დანაყოფების სპეციალიზებულმა პროკურორებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე ახორციელებენ საპროცესო ხელმძღვანელობას. ჩაღრმავებული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა სპეციალიზებული პროკურორებისთვის ცოდნის გაღრმავება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე.
- სიძულვილის ენაზე რეაგირების თაობაზე ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშის განხილვის და გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ცნობიერების ამაღლების, კონტრ-მეტყველებისა და განათლების როლი სიძულვილის ენის

წინააღმდეგ ბრძოლაში“. 2022 წელსვე ჩატარდა მომდევნო თემატური შეხვედრაც - „სიძულვილის ენის თვითრეგულირება /სხვადასხვა დაინტერესებული მხარის როლი სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ორივე სამუშაო შეხვედრაში, სხვა სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად 1 პროკურორი მონაწილეობდა.

- რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის No. 15 რეკომენდაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ევროპის საბჭოს პროექტის - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის არა-სამართლებრივი დაცვის მექანიზმების საშუალებით მართლმსაჯულებაზე წვდომის განმტკიცება“ ფარგლებში ჰიბრიდული ორთვენახევრიანი სასწავლო კურსი განხორციელდა, რომელსაც 5 პროკურორი დაესწრო.
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და სამართალდამცველთა საერთაშორისო აკადემიასთან (ILEA) თანამშრომლობის ფარგლებში, უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პროკურატურის 2 თანამშრომელი (პროკურორი, მენეჯერი). ვიზიტის ფარგლებში პროკურატურის თანამშრომლები დაესწრნენ კურსს თემაზე - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“. კურსის მიზანი იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში პროკურორების და პოლიციელების გადამზადება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა საჭიროებებზე რეაგირება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და დანაშაულების სამიზნე ჯგუფების მონიტორინგი, უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების, მედიის და საზოგადოების სხვა ნაწილების ჩართვა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები და კომუნიკაციის სტანდარტები“. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა საქართველოს პროკურატურის 17 პროკურორი. ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობა და მისი გაგების კონცეპტუალური საკითხები, სახელმწიფოს ვალდებულებათა ჩარჩო, გამოწვევები შშმ უფლებების კუთხით, სასამართლოს გადაწყვეტილებები, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირება შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებში, რეკომენდაციები შშმ პირებთან კომუნიკაციისათვის და სხვა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა

- ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE) თანამშრომლობით, უწყებათა თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა - ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი კოორდინაციის მხარდაჭერა სიმულაციური ტრენინგ-სავარჯიშოებით, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პროკურატურის 3 თანამშრომელი.
- 2022 წელს ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა - სამართალდამცავი ორგანოების პერსპექტივა“. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - ბავშვთა ტრეფიკინგი საქართველოში: ზოგადი და სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა, ბავშვთა ექსპლუატაციის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტები, მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება, ბავშვთა ექსპლუატაცია ინტერნეტში, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ონლაინ შემთხვევების გამოძიების პრაქტიკა, საქართველოსა და მოლდოვის გამოცდილება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ. ტრენინგში სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად 7 პროკურორი მონაწილეობდა.
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით (INL) ჩატარდა ტრენინგი თემაზე საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უკანონოდ დარჩენის ხელშეწყობასთან ბრძოლის საკითხებზე. გადამზადდა 7 პროკურორი.
- 2022 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრა მოიცავდა შემდეგ თემებზე დისკუსიას: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით არსებული მდგომარეობა საკოორდინაციო საბჭოს პერსპექტივიდან; სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების კვალიფიკაციის კუთხით არსებული გამოწვევები პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე; შრომითი ექსპლუატაციის, მათ შორის, პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე ბავშვთა მათხოვრობაში ჩაბმის შემთხვევების კვალიფიკაციის კუთხით არსებული გამოწვევები. პროკურატურიდან სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა 5 მონაწილე.
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით, უზბეკეთის დედაქალაქში, ტაშკენტში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. ვიზიტის მიზანი იყო ორ მხარეს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ერთობლივი მსჯელობა. საქართველოს პროკურატურიდან ვიზიტში მონაწილეობა მიიღო 3-მა თანამშრომელმა.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)” - ის ფარგლებში რუმინეთის დედაქალაქში, ბუქარესტში სასწავლო ვიზიტით გაემგზავრა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელი და დაესწრო ტრენინგს თემაზე „ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - გამომწვევი მიზეზები და კრიმინალიზაცია, დოკუმენტების გაყალბება, მსხვერპლის იდენტიფიკაცია, დაცვა და დახმარება“. ვიზიტის მიზანი იყო მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება და მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება ადამიანით ვაჭრობის მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და თანამედროვე ტენდენციების შესახებ.

- ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით - ,,ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით". საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, სადაც ეროვნულ დონეზე სიმულაციური ტრენინგი გაიმართა. ეროვნული სიმულაციური ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის დანაშაულზე მომუშავე სამართალდამცავი სფეროს და სხვა შესაბამისი უწყების 40-მდე პროფესიონალის ჩართულობას, მათ შორის - გამომძიებლის, პროკურორის, შრომის ინსპექტორის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და მსხვერპლებთან მომუშავე პერსონალის პრაქტიკული უნარ-ჩვევებების ამაღლებას უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გზით. ტრენინგში სხვა სახელმწიფო უწყებებისა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და საქართველოს პროკურატურის 5 თანამშრომელი (1 მენეჯერი, 4 პროკურორი) მონაწილეობდა.

კიბერდანაშაული, ელექტრონული მტკიცებულებები და კრიპტოვალუტა

- აშშ-ის საელჩოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „კრიპტოვალუტის მოძიება და ამოღება". სწავლებას უძღვებოდნენ ექსპერტები აშშ-დან. ღონისძიება ერთობლივი ხასიათის იყო და მასში პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კრიპტოვალუტის საფუძვლები, ვირტუალური აქტივების მოძიება და ამოღება, ვირტუალური აქტივების დანაშაულებრივი გამოყენება, ბლოკჩეინის ანალიზი, უწყებათაშორისი თანამშრომლობა კრიპტოვალუტის საკითხებზე და სხვა. ტრენინგი თეორიულ საკითხებთან ერთად პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოიცავდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროკურატურის 22-მა თანამშრომელმა (მენეჯერი, პროკურორი, გამომძიებელი, სხვა თანამშრომელი).
- საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ფინანსური გამოძიება, კრიპტოვალუტა და დარქნეტი". აღნიშნული ღონისძიება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის (CyberEast Project) დაფინანსებით განხორციელდა და მიზნად ისახავდა პროექტში მონაწილე ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებას კიბერდანაშაულიდან მიღებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის, ასევე, ინტერნეტში ფულის გათეთრების აღკვეთისა და ელექტრონული მტკიცებულებების დაცვის სფეროში. ასევე, უწყებათაშორის თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და გაღრმავებას. სასწავლო კურსს უძღვებოდნენ ევროპის საბჭოს მოწვეული ექსპერტები. ტრენინგში საქართველოს პროკურატურის 10 თანამშრომელი (პროკურორი, გამომძიებელი) მონაწილეობდა.

- ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის CyberEast ფარგლებში, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ელექტრონული მტკიცებულებები“. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 14 თანამშრომელი, მათ შორის 4 მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომელი, 6 გამომძიებელი და 4 პროკურორი. ტრენინგს უძღვებოდნენ სერბეთის გენერალური პროკურორის მოადგილე და ევროსაბჭოს ექსპერტი. აღნიშნული კურსი თეორიულ სწავლებასთან ერთად დატვირთული იყო რეალური შემთხვევების განხილვით და პრაქტიკული სავარჯიშოებით.
- გაიმართა სწავლება თემაზე "კრისტალ ბლოკჩეინის კრიპტოს მიდევნების ტრენინგი" (CRYSTAL BLOCKCHAIN CRYPRO COMPLIANCE TRAINING PROGRAM). ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა გაიარეს შემდეგი საკითხები: ბლოკჩეინის ტექნოლოგიის პრინციპები, კრიპტოდანაშაულების გამოძიება და საეჭვო ტრანზაქციების იდენტიფიცირება ბლოკჩეინზე კრისტალის საშუალებით, ელექტრონული საფულის რისკების აღმოჩენა და იდენტიფიცირება, მომხმარებელთა საქმიანობის ნავიგაციისა და მონიტორინგის შესაძლებლობა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან ტრენინგში 2 გამომძიებელი მონაწილეობდა.
- კიბერუსაფრთხოების/კიბერდანაშაულის გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების საჭიროების საპასუხოდ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის CyberEast ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - “კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერდანაშაულის საკითხები“. ტრენინგში საქართველოს პროკურატურის 3 თანამშრომელი (მენეჯერი, პროკურორი, მრჩეველი) იღებდა მონაწილეობას.
- კიბერდანაშაულსა და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე სტამბოლში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი, რომელსაც ესწრებოდნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის წარმომადგენლები. საქართველოს პროკურატურიდან სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა 1 გამომძიებელი.
- „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ ორგანიზებით ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი მავნე კოდისა და ლოგების ანალიზის შესახებ. ტრენინგში საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობა მიიღო 1-მა გამომძიებელმა.
- ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ”საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „კრიპტოვალუტის რისკები და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები“. შეხვედრის მიზანი იყო უსაფრთხოების სექტორში არსებული კრიპტოდანაშაულის საკითხებზე მომუშავე უწყებებისთვის, კრიპტოვალუტის რისკებთან და საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკისა და მეთოდების გაზიარება. საქართველოს პროკურატურიდან სამუშაო შეხვედრაში 2 პროკურორი და 1 გამომძიებელი მონაწილეობდა.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP”-ის ფარგლებში უნგრეთის დედაქალაქში, ბუდაპეშტში გამართულ ტრენინგში თემაზე - „კიბერდანაშაულის გამოძიება“, მონაწილეობა მიიღო 2-მა პროკურორმა.

- აშშ-ის საელჩოსა და ბუდაპეშტის სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში უნგრეთის დედაქალაქში, ბუდაპეშტში ჩატარდა 5 დღიანი კურსი თემაზე - „კიბერდანაშაულის გამოძიება“. სასწავლო კურსში ხორვატიის, მოლდოვისა და მონტენეგროს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პროკურატურიდან 2 პროკურორი მონაწილეობდა.
- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის CyberEast-ისა პროექტის ფარგლებში, რუმინეთის დედაქალაქში, ბუქარესტში, ჩატარდა რეგიონული თანამშრომლობის მეორე ფორუმი თემაზე - კიბერდანაშაული და კიბერუსაფრთხოება. ფორუმში მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის 1 გამომძიებელი.
- ასევე CyberEast-თან თანამშრომლობის ფარგლებში თურქეთში, ქალაქ სტამბოლში, კიბერდანაშაულის საკითხებზე რეგიონული თანამშრომლობის სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც საქართველოს პროკურატურის ერთი წარმომადგენელი დაესწრო.
- აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატის დედაქალაქში, დენვერში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი თემაზე - კიბერდანაშაული, ელექტრონული მტკიცებულებები და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამართალდამცავი უწყებებისა და პროკურორების სამუშაო პროცესში. სასწავლო ვიზიტში საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ (მენეჯერი, პროკურორი, გამომძიებელი). ღონისძიება ერთობლივი ხასიათის იყო და მასში პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმაც. მონაწილეები დაესწრნენ ზაფხულის სამიტს ციფრული სისხლის სამართლებრივი დევნის განვითარების შესახებ. სასწავლო ვიზიტის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა ქართული დელეგაციის სტუმრობას კოლორადოსა და დენვერის საოლქო პროკურატურებში. დამატებით, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა კოლორადოსა და დენვერში სასამართლოში საქმეების განხილვასაც დასწრებოდნენ.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)” - ის ფარგლებში უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში, ჩატარდა რეგიონული ტრენინგი თემაზე: „კიბერშეტევები-კრიტოვალუტები, ონლაინ გადახდა და თაღლითობა, მავნე პროგრამები“. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კიბერდანაშაულის გამომძიებლების საგამოძიებო შესაძლებლობების გაუმჯობესება. ტრენინგს საქართველოს პროკურატურის 1 თანამშრომელი ესწრებოდა.
- ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის - CyberEast - თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, ჩატარდა კონფერენცია ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ. კონფერენციაში სამართალდამცავი უწყებების, კიბერუსაფრთხოების სფეროს, კერძო სექტორისა და აკადემიური სფეროს 500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. კონფერენცია ძირითადი პლენარული სესიების გარდა, პრაქტიკულ ვორქშოფებსაც მოიცავდა. დამატებით, გათვალისწინებული იყო საკონტაქტო ქსელის გაფართოების მიზნით საკომუნიკაციო შეხვედრებიც. კონფერენციას საქართველოს პროკურატურის 1 თანამშრომელი დაესწრო

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)" ფარგლებში, საბერძნეთში, ქ. ათენში, უახლესი კიბერ საფრთხეების, ტენდენციებისა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიების თემაზე სასწავლო ვიზიტით ერთი პროკურორი იმყოფებოდა. სასწავლო ვიზიტს საბერძნეთის პოლიციის კიბერდანაშაულის სამმართველო და ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სააგენტო (ENISA) მასპინძლობდა. ღონისძიების მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები კიბერდანაშაულის მიმართულებით; კიბერდანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმები; საერთაშორისო თანამშრომლობის როლი კიბერდანაშაულის წარმატებით გამოძიების პროცესში, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და სხვა.
- ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტის CyberEast-ის ფარგლებში ევროჯასტისა (Eurojust) და ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის პროგრამების ოფისის (Cybercrime Programme Office of the Council of Europe - C-PROC) ორგანიზებით ნიდერლანდებში, ქ. ჰააგაში, კიბერ-გამოძალვის (ransomware) გამოძიებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრას საქართველოს პროკურატურის ერთი თანამშრომელი დაესწრო. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა 44 ქვეყანა. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს კიბერ-გამოძალვის გამოძიებასთან დაკავშირებით არსებული გამოცდილება და თანამედროვე მიღწევები. მიმდინარე და სამომავლო საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები კიბერ-გამოძალვასთან დაკავშირებით.
- საქართველოს პროკურატურის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტის CyberEast-ის ფარგლებში ქ. თბილისში ჩატარებულ სიმულაციურ სავარჯიშოში სახელწოდებით - მონაცემებზე ეფექტური წვდომა: სამართალდამცავი ორგანოებისა და სერვისის პროვაიდერებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში მონაცემებზე ეფექტური წვდომის სტანდარტული ნიმუშები და პროცედურები. სიმულაციური სავარჯიშოს მიზანს წარმოადგენდა კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება სიმულაციური პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებით. ღონისძიების მიზანი იყო მონაცემებზე ეფექტური და დაბალანსებული წვდომის შესახებ პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.
- ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტის CyberEast-ის ფარგლებში, კოსტა რიკაში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ერთი პროკურორი. ვიზიტის ფარგლებში მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში - „ქალთა როლის გაძლიერება კიბერდანაშაულის პრევენციის, გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში“. კონფერენციის მიზანი იყო კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალის როლის გამოკვეთა, კონფერენციის მონაწილეთა გამოცდილებებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ქალის აქტიური როლის შესახებ კიბერდანაშაულზე სამართლებრივი რეაგირებისას, ქალის წინააღმდეგ მიმართული კიბედანაშაულის პრევენციის მხარდაჭერა და კიბერდანაშაულის მსხვერპლი ქალების შესაბამისი სარეაბილიტაციო სერვისებით უზრუნველყოფა.

- აშშ-ის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, კიბერდანაშაულის და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების თემაზე გენერალურ პროკურატურაში ერთწლიანი სასწავლო კურსი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც პირველი ტრენინგი 2022 წელს გაიმართა. ტრენინგს საქართველოს პროკურატურის პროკურორებთან და გამომძიებლებთან ერთად (ჯამში პროკურატურის 4 თანამშრომელი), შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ციფრული მმართველობის სააგენტოსა და ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები ესწრებოდნენ. ორდღიან სწავლებას, კურსის ავტორი, იუსტიციის დეპარტამენტის კომპიუტერული დანაშაულისა და ინტელექტუალური საკუთრების განყოფილების კიბერდანაშაულის ლაბორატორიის დირექტორი უძღვებოდა. ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ელექტრონული მტკიცებულებების იდენტიფიცირების, შენახვის, მოპოვებისა და გაანალიზების შესახებ. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მონაწილეები ციფრული სასამართლო ექსპერტიზის სიღრმისეული ანალიზის (DFIA) სერტიფიკატს მიიღებენ.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ TOPCOP" ფარგლებში გამართულ ვებინარში „ონლაინ გადახდებთან დაკავშირებული თაღლითობა და სკიმინგი" მონაწილეობა მიიღო 2-მა პროკურორმა. ვებინარის ფარგლებში განიხილეს შემდეგი თემები: საუკეთესო პრაქტიკა ევროპაში ონლაინ გადახდების თაღლითურ სქემებთან დაკავშირებით; გამოძიების მეთოდები და ტექნიკები, რეკომენდაციები და ინსტრუქციები.
- ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტის CyberEast-ის ფარგლებში რეგიონალური შეხვედრა ჩატარდა თემაზე - კიბერდანაშაულისა/კიბერუსაფრთხოების ანგარიშგება და მონაცემთა გაზიარება. შეხვედრის მიზანი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში რეგიონალურ დონეზე შემაჯამებელი დისკუსიის გამართვა შემდეგ საკითხებზე: კიბერდანაშაულის/კიბერუსაფრთხოების ანგარიშგება, შემთხვევებთან/დანაშაულებთან გამკლავების მაჩვენებელი, მონაცემთა გაზიარება სამართალდამცავ უწყებებსა და კიბერუსაფრთხოების შემთხვევებზე რეაგირების ჯგუფებს შორის. შეხვედრას საქართველოს პროკურატურის 2 წარმომადგენელი (პროკურორი, გამომძიებელი) დაესწრო.

ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

- ევროკავშირის პროექტის "საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" (PAR TA) ფარგლებში, პარალელური ფინანსური გამოძიების თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა (შვედეთის გამოცდილების გაზიარება), უწყებათშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, საქართველოში არსებული სიტუაციის განხილვა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ქმედებების გამოკვეთა იყო.
- აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) კონტრპროლიფერაციის საერთაშორისო პროგრამის (Counter-proliferation Program - ICP) ფარგლებში ჩატარდა მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გამოყენების შემთხვევების გამოძიებებისა და

ოპერაციების კურსი (WIO). კურსის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შემდეგი თემის განხილვა: თუ როგორ უნდა მოხდეს მასობრივი განადგურების იარაღების, როგორიცაა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) მასალები ან სხვა საშიში ნივთიერებების შემცველი დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ადგილის უსაფრთხო გამოძიება. კურსს დაესწრო 1 პროკურორი.

- შესაბამისი სამართალდამცავი უწყებებისთვის ფულის გათეთრების თემაზე გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით - „ფინანსურ დანაშაულთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა“. სასწავლო კურსი ევროპის საბჭოს დაფინანსებით განხორციელდა, რის საფუძველზეც პროკურატურის 7 თანამშრომელი გადამზადდა.
- საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, „ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის“ რეგიონალური პროექტის ფარგლებში, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა სემინარი - „ფინანსური დაზვერვის დანაყოფების სტრატეგიულ და ოპერატიულ ანალიზში შედარებითი გადაწყვეტილებები და კარგი პრაქტიკა“. სემინარს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, აღმოსავლური პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან 60-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის, საქართველოს პროკურატურის ერთი თანამშრომელი.
- გაიმართა ტრენინგი თემაზე „ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა“ პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და ფინანსური მონიტორინგის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის 5-მა თანამშრომელმა.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “TOPCOP" ფარგლებში გაიმართა ონლაინ ვებინარი ნარკოტრეფიკინგის გამოძიებაზე. სწავლებას ევროპოლისა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (Eurojust) ექსპერტები უძღვებოდნენ. მონაწილეებმა განიხილეს ისეთ საკითხები, როგორიცაა: დამნაშავეთა დაკითხვის მეთოდები; ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები ნარკოტრეფიკინგის კონტექსტში; საერთაშორისო თანამშრომლობა სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და სხვ. ნარკოტრეფიკინგის თემაზე დაგეგმილ ონლაინ ვებინარში საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობა ერთმა პროკურორმა მიიღო.
- საქართველოს პროკურატურის 3 თანამშრომელი დაესწრო ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის საკითხზე ტრენინგს, რომელიც ევროპის საბჭოს პომპიდუ ჯგუფის (Pompidou Group) პროექტის - „ნარკოპრევენციის მხარდამჭერი ქსელის განვითარება მშობლებისთვის და პროფესიონალებისთვის საქართველოში'' ფარგლებში ჩატარდა.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “TOPCOP" ფარგლებში, CEPOL-თან თანამშრომლობით, საერთაშორისო ონლაინ ტრენინგი გაიმართა თემაზე „ქურდული სამყაროს მსგავსი ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები და ქმედებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში“. აღნიშნულ ტრენინგზე შემდეგი თემები განიხილეს: მაღალი რისკის მქონე კრიმინალური დაჯგუფებების გამოვლენის მეთოდები, ქურდული სამყაროს მსგავს კრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებული ფინანსური დანაშაულებების გამოძიება, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და სხვა ფუნდამენტური უფლებები.

საერთაშორისო ონლაინ ტრენინგში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 1 წარმომადგენელი (მენეჯერი) მონაწილეობდა.

- ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პრაღაში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი თემაზე - ფინანსური გამოძიების ტექნიკები. ღონისძიება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. დაგეგმილ ვიზიტში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 14 წარმომადგენელი (მენეჯერი, პროკურორი, გამომძიებელი) მონაწილეობდა. სემინარზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ფინანსური ინფორმაციის წყაროები, ფინანსური პროფილი, ფინანსური დანაშაული, ფულის გათეთრება და აქტივების კონფისკაცია, ფინანსური ძიების ორდერები; სემინარი დატვირთული იყო გამოძიებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სავარჯიშოებით.
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, როგორც ანტიკორუფციული მმართველობის საერთაშორისო ასოციაციის ორგანიზაციული წევრმა, ქ. ბაქოში გამართა რეგიონალური საერთაშორისო სემინარი თემაზე - "აქტივების აღდგენა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში: ახალი ტენდენციები და გამოწვევები". კორუფციის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში აქტივების აღდგენის მზარდი როლის გათვალისწინებით, სემინარის მიზანს წარმოადგენდა აქტივების აღდგენაში თურქეთის, ლიეტუვას, რუმინეთის, ბელგიის და საქართველოს საუკეთესო პრაქტიკების განხილვა და ამ სფეროში ისეთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების პერსპექტივების შესწავლაც, როგორიცაა IAACA (ანტიკორუფციული მმართველობის საერთაშორისო ასოციაცია) და EPAC (ევროპული პარტნიორები კორუფციის წინააღმდეგ). საქართველოს პროკურატურიდან ღონისძიებაში მონაწილეობდა 1 გამომძიებელი.
- უზბეკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურისა და დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში აქტივების ამოღების უწყებათაშორისი ქსელის (ARIN-WCA) მხარდაჭერით, უზბეკეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ტაშკენტში, სასწავლო ვიზიტით გაემგზავრა საქართველოს პროკურატურის 1 გამომძიებელი. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი დაესწრო ტრენინგს - „მოთხოვნები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების წარმატებით ამოღებისათვის: პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა“.
- გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, Flora Fauna International-თან თანამშრომლობით გაიმართა ტრენინგი ველურ ბუნებასთან დაკავშირებულ დანაშაულის საკითხებზე, რომელიც წარიმართა ჰიბრიდულად და გადამზადდა 18 პროკურორი და გამომძიებელი. დამატებით, ჩატარდა ონლაინ შეხვედრა თემაზე აღდგენითი მართლმსაჯულება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კანონმდებლობა საქართველოში, რომელსაც დაესწრო 6 მონაწილე საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული დანაყოფებიდან.
- აშშ-ის საელჩოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში, სასწავლო ვიზიტით თემაზე - „გარემოსდაცვითი დანაშაულის კანონმდებლობა, სტრატეგია და აღსრულება“ - საქართველოს პროკურატურის 2 წარმომადგენელი იმყოფებოდა. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

შესახებ კანონმდებლობის ზედამხედველობა და აღსრულება, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოცემულ საკითხზე არსებული კანონმდებლობა, საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად შესაბამისი პროგრამების შექმნა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

- ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „შრომის უსაფრთხოების საკითხები“. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის 5 თანამშრომელი.
- აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში (CBRN Security and Cooperation Program -CSCEP) ჩატარებულ ეროვნული რეაგირების ჩარჩოს მაღალი დონის აღმასრულებელ სემინარს (National Response Framework Senior Executive Seminar -NRF-SES) ერთი პროკურორი დაესწრო. სემინარის ფარგლებში განიხილეს შემდეგი საკითხები: 508-ე ეროვნული რეაგირების ჩარჩო, ეროვნული რეაგირების დაგეგმვასა და კოორდინაციაში მონაწილე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების როლები, ეროვნული რეაგირების ჩარჩოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესაძლებლობების გაუმჯობესება, მემორანდუმები და ა.შ.
- ევროკავშირისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ პროექტის (EUGIPP) ფარგლებში, გაიმართა სასწავლო ღონისძიება თემაზე - „დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაცია კერძო სექტორთან აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, სემინარი პრაქტიკის შესახებ და აღსრულების სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ტრენინგი”. ღონისძიება მიზნად ისახავდა კერძო სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერებას, მხარეთა მოსაზრებების გაზიარებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ამჟამინდელ სტატუსთან დაკავშირებით ევროკავშირის პრაქტიკასთან შემდგომი ჰარმონიზების მიზნით. ღონისძიების დასკვნით ნაწილში საჯარო უწყებების წარმომადგენლებისათვის გაიმართა სემინარი აღსრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების შესახებ, რომლებიც მოცემული პროექტის ფარგლებში შემუშავდა.
- პროკურატურის 2-მა თანამშრომელმა (პროკურორი და სტაჟიორ-პროკურორი) მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP" ფარგლებში გამართულ ონლაინ ვებინარში - „აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებულ პროდუქციასთან დაკავშირებული დანაშაულები“. ვებინარს უძღვებოდნენ სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) ექსპერტები.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)“ ფარგლებში უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის: საქართველოს, სომხეთის, მოლდოვეთისა და უკრაინის სამართალდამცავი უწყების პროფესიონალებისთვის ჩატარდა ტრენინგი - „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაული, დოკუმენტების გაყალბება და სტრატეგიული ანალიზი“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროკურატურის 2-მა თანამშრომელმა (მენეჯერი, პროკურორი). ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულების მიმართულებით პროფესიონალთა კომპეტენციების გაუმჯობესება.

- საქართველოს პროკურატურის 2 მენეჯერი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში, თემაზე - ფინანსური გამოძიება სამართალდამცავი სფეროს პრაქტიკოსებისთვის. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო ფინანსური დანაშაულების გამოძიების სპეციფიკის განხილვა, ეფექტური ფინანსური გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკების მიმოხილვა, ფინანსური დაზვერვის განვითარებისა და გამოყენების სპეციფიკა. დამატებით, განხილული იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების გამოძიების თავისებურებები. ასევე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევისა და აღსრულების საკითხები. სასწავლო ვიზიტი მოიცავდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს.

აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად

- საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა კასკადური ტრენინგების ციკლი თემაზე - აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. 2022 წელს ტრენინგი ჩაუტარდა 5 ჯგუფს და გადამზადდა 83 პროკურორი. ტრენინგ კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ბუნება და სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში; ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების არსი, დაკავების კანონიერება, აღკვეთის ღონისძიების სახეები და გამოყენების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

HELP-ის პლატფორმაზე განხორციელებული სასწავლო აქტივობები

საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან აქტიურად არის ჩართული ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელებულ სასწავლო პროგრამებში.

- 2022 წელს, HELP-ის პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა 2 თვიანი სასწავლო კურსი თემაზე ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე. აღნიშნულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეობას იღებდა 22 პროკურორი. კურსის მიზანია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული პროკურორების პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა და იმ ბარიერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლებსაც ქალები აწყდებიან სამართლდამცავ უწყებებთან თანამშრომლობისას.
- ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და HELP-ის კურსის ტუტორობისთვის გადამზადდა საქართველოს პროკურატურის 4 თანამშრომელი. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს პროკურატურას ევროპის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული 8 ტუტორი ჰყავს.
- ასევე, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, განხორციელდა HELP-ის კურსი 2 ჯგუფისთვის თემაზე - საპროცესო გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში და დაზარალებულთა

უფლებები. აღნიშნულ სასწავლო კურსში მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის 23 პროკურორი და გამომძიებელი. აღნიშნულ კურსში ჩართული იყვნენ მოსამართლეებიც.

- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლის ფარგლებში HELP-ის დისტანციური პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა ონლაინ სასწავლო კურსი თემაზე - გარდამავალი მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები. მონაწილეობა მიიღო 3-მა პროკურორმა.
- საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა HELP-ის ქსელის ყოველწლიურ კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს პროკურატურიდან HELP-ის დისტანციური სწავლების ეროვნული წარმომადგენელი. კონფერენცია მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტების დანერგვის საკითხების განხილვას და წლიური პროგრესის შეჯამებას HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელებულ აქტივობებზე დაყრდნობით.
- საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში, HELP-ის პროგრამის ახალი სასწავლო კურსი - „საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში“ ჩატარდა. სამთვიანი სასწავლო კურსის მიზანი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის იმ მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შესწავლა იყო, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ეროვნულ და ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან ბრძოლაში, სასწავლო მასალები თარგმნილი და ადაპტირებული იყო ქართულ ენაზე. კურსი საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულის 22 თანამშრომელმა (პროკურორი, გამომძიებელი, მენეჯერი, სხვა თანამშრომელი) გაიარა.

პროკურატურის შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული სასწავლო აქტივობები

- საქართველოს პროკურატურისა და აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნულ აკადემიაში საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის სამთვიანი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა. აღნიშნული სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს სამართალდამცავი სისტემის მუშაობის სტანდარტების დახვეწას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მსოფლიოს მასშტაბით სამართალმდაცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას.
- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, მოსამართლეების გერმანულ ასოციაციასთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით მოსამართლეებისთვის და პროკურორებისთვის გერმანიაში სტაჟირების გერმანულენოვანი პროგრამა განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა ერთმა პროკურორმა მიიღო. სასწავლო ვიზიტი მოიცავდა როგორც სისხლის სამართლის საკითხებზე თეორიულ სწავლებას, ისე პრაქტიკის გავლას გერმანელ კოლეგებთან.
- საქართველოს პროკურატურაში დანერგილი მენტორების ინსტიტუტის ფარგლებში 2022 წელს 14 მენტორი გადამზადდა. აღნიშნული ინსტიტუტი გულისხმობს ყველა სტრუქტურულ და ტერიტორიულ დანაყოფში კომპეტენტური და სპეციალურად მომზადებული პირის არსებობას, რომელიც ახალდანიშნულ თანამშრომლებს/სტაჟიორებს საწყის ეტაპზე გაუწევს

დახმარებას პროფესიულ საქმიანობაში და ამასთან, იზრუნებს გუნდში მათ ინტეგრაციასა და სათანადო პროფესიული უნარების გამომუშავებაზე. მენტორების ტრენინგი შემდეგ თემებს მოიცავს: მენტორის როლი ორგანიზაციაში; ორგანიზაციული კულტურა; მოტივაცია და მოტივაციის თეორიები; სწავლების მეთოდები; უკუკავშირის ტექნიკები.

- საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგი საქართველოს გენერალური პროკურატურის 19 თანამშრომლისთვის, თემაზე „ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საფინანსო საბიუჯეტო ორგანიზაციებში". აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში განიხილეს შემდეგი თემები: ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები და მიზანი; ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესი; კომისიის ჩამოყალიბება და უფლება-მოვალეობების გადანაწილება; ინვენტარიზაციის პროცესში შესავსები დოკუმენტების მიმოხილვა; გამოუყენებელი, დაზიანებული ქონების განკარგვის წესი; ინვენტარიზაციის პროცესთან დაკავშირებული სისტემური რისკები. თეორიული ნაწილის განხილვის შემდეგ დრო დაეთმო პრაქტიკული მაგალითების ანალიზს.
- გენერალურ პროკურატურაში ევროკავშირის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ფარგლებში, პროკურორთა პროფესიული განვითარების შესახებ ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრას საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლები და ტრენერები ესწრებოდნენ. სამუშაო შეხვედრას ევროკავშირის ექსპერტები უძღვებოდნენ, რომლებმაც მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის (პოლონეთი, ესტონეთი, ესპანეთი და ნიდერლანდები) პროკურორთა სასწავლო ცენტრების ფუნქციონირების მიმართულებით. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს პროკურორთა საბაზისო მომზადებისა და უწყვეტი განგრძობადი განათლების სისტემები, ასევე ტრენინგ საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგიები, ტრენინგების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ელემენტები. პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის თანამედროვე სტანდარტებთან ჰარმონიზების პროცესის მომდევნო მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს პროკურატურაში განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემის კონცეფციის შემუშავება და დანერგვაა.
- ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და სწავლების იმპლემენტაციის გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში ადამიანის უფლებების თემაზე ტრენერთა ტრენინგები ჩატარდა. 3 ტრენინგის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის 16 თანამშრომელი (მენეჯერი, პროკურორი) გადამზადდა. ტრენინგი შემდეგ თემებს მოიცავდა: საქართველო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; კონვენციის სისტემა: ინტერპრეტაციის პრინციპები; დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული უფლებები და ამ უფლებებში ჩარევის ფარგლები.
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსთან (INL) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი თემაზე - დაკითხვის/გამოკითხვის ტექნიკები. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: გამოკითხვის დროს გასათვალისწინებელი საკითხები და გამოკითხვისთვის მომზადება, გამოკითხვის პრინციპები, კითხვის დასმის ტექნიკები, ქცევის ანალიზი, დაზარალებულის (მსხვერპლის)

და მოწმის გამოკითხვა, ცრუ აღიარება, დამნაშავის (ეჭვმიტანილის) დაკითხვა. ტრენინგში მონაწილეობდა 1 პროკურორი და 3 გამომძიებელი.

- 2022 წელს სპიკერების მოსამზადებელი 4 ტრენინგი ჩატარდა სახელწოდებით - „სპიკერების მომზადება - მედია ტრენინგი“. სწავლება მიზნად ისახავდა მედიასთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის, სატელევიზიო თუ ფორმალური დებატების მიმართულებით პროკურორების შესაძლებლობების გაძლიერებას. ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის 41 მენეჯერი.
- გენერალური პროკურატურის ერთმა თანამშრომელმა გაიარა მონაცემთა მეცნიერების საბაზისო კურსი (DATA SCIENCE) და აიმაღლა კომპეტენცია შემდეგი მიმართულებებით: მონაცემთა ანალიზი ბიზნესში; Phyton-ის პროგრამირების ენის საწყისები; მონაცემების დამუშავება; მანქანური დასწავლის ალგორითმები; რეალური პროექტების გარჩევა.
- პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგადი და იურიდიული ინგლისურის მიმართულებით სწავლება გაიარა 5-მა ჯგუფმა, რომელშიც ჩართული იყო პროკურატურის 49 თანამშრომელი.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება

- საქართველოს პროკურატურის 10-მა საჯარო მოხელემ გაიარა სავალდებულო პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი. შეხვედრები 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი თემები: ადმინისტრაციული წარმოება; ეთიკა საჯარო სამსახურში; ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა; საქმიანი კომუნიკაცია; დროის მართვა და გუნდური მუშაობა. ხოლო, ერთმა საჯარო მოხელემ გაიარა სავალდებულო კურსი „მოხელის მენეჯერული უნარები“. 2 კვირიანი კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: კომუნიკაცია, ორგანიზაცია, ცვლილებების მართვა, ადამიანური რესურსის მართვა და სხვა მნიშვნელოვან თემები.
- საქართველოს პროკურატურის 2 საჯარო მოხელე საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ორგანიზებულ საჯარო მოხელეთა ფორუმების შეხვედრას დაესწრნენ თემაზე - „კონსტიტუციის თავგადასავალი“. აღნიშნული ფორუმების მიზანი საჯარო სამსახურის უწყვეტი განვითარებისთვის საჯარო მოხელეთა შორის კომუნიკაციის გაძლიერებაა.
- ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, გაიმართა კონფერენცია, „საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების მიმდინარე ტენდენციები“, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს პროკურატურის 3-მა თანამშრომელმა მიიღო. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების სფეროში თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციების განხილვა. ასევე, ელექტრონული სწავლის კარგი პრაქტიკებისა და გამოწვევების მიმოხილვა. კონფერენციის მოწვეული სპიკერები იყვნენ

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და სასწავლო დაწესებულებები.

საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით არსებობს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი ორი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკის და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. აღნიშნული საბჭოების ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, ხოლო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

2022 წელს ჩატარდა საქართველოს პროკურატურის კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 5 სხდომა, რომლის ფარგლებშიც გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, განხილულ იქნა 357 თანამშრომლის წახალისების, დაწინაურების და დისციპლინური გადაცდომის, საკითხები.

კერძოდ:

- მადლობის გამოსაცხადებლად წარმოდგენლი 187 თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 171 თანამშრომელს;
- დასაწინაურებლად წარმოდგენილი 10 თანამშრომლიდან - 3 თანამშრომელს;
- განხილულ იქნა 6 თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭოს წევრებმა მიიღეს რეკომენდაცია 4 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, ხოლო ერთი თანამშრომლის მიმართ დისციპლინურის სახდელის ნაცვლად რეკომენდაციის გაცემის თაობაზე.

აღსანიშნავია რომ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის და სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის შემუშავების და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა.

2022 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს 7 სხდომა.

- საბჭოს ერთ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის პროექტი.
- საბჭოს ორ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს პროკურატურის პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემაში შესატანი ცვლილებების პროექტი.
- საბჭოს ოთხ სხდომაზე კი მოსმენილ იქნა საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული დანაყოფების -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის პროკურატურის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და მცხეთა მთიანეთის, სამეგრელო -ზემო სვანეთისა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები, პრიორიტეტული მიმართულებები და პრობლემური საკითხები.

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სხვა სათათბირო ორგანოებიც შექმნას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც არ შედის მუდმივმოქმედი საბჭოების უფლებამოსილებაში და ხელს შეუწყობს პროკურატურის ამოცანების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას.

რანგირების საბჭო

საქართველოს პროკურატურაში 2020 წლიდან დაინერგა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემა და საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით, დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან. რანგირების სისტემის ამოქმედებასთან ერთად ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო ,,რანგირების საბჭო“.

2022 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – რანგირების საბჭოს ერთი სხდომა.

სხდომაზე რანგირების საბჭოს სამდივნომ საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია და მასალები 48 პროკურორისთვის და პროკურატურის გამომძიებლისთვის მეორე ან/და პირველი რანგის მინიჭების ან/და რანგში დაწინაურების თაობაზე.

საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე 2022 წლის 1 ივნისიდან:

- I რანგი მიენიჭა - 9 პროკურორს და პროკურატურის 3 გამომძიებელს;
- II რანგი მიენიჭა - 19 პროკურორს და პროკურატურის 6 გამომძიებელს.

2022 წლის მონაცემებით, რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე I და II რანგი მინიჭებული ჰქონდა 150 პროკურორს და პროკურატურის გამომძიებელს. მათ შორის:

I რანგი - 41 პროკურორს და პროკურატურის 10 გამომძიებელს;
II რანგი – 76 პროკურორს და პროკურატურის 23 გამომძიებელს.

სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო

2022 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო - ,,სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო“.

საქართველოს პროკურატურა სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულთა კანონიერი ინტერესების დაცვას. პროკურორები დიდ დროს და რესურსს უთმობენ დაზარალებული მხარის ინფორმირებას, მათთან სისტემატურ კომუნიკაციას და სათანადო სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა და კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ სიცოცხლის ხელყოფით დასრულებულ საქმეებზეა, რადგან სიცოცხლის უფლება უზენაესი ღირებულებაა, რომლის დაცვა სახელმწიფოს და მისი სამართალდამცავი უწყებების პრიორიტეტია.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო. საბჭო, როგორც მისი დასახელებიდანაც ჩანს, განიხილავს სიცოცხლის მოსპობით დასრულებულ საქმეებზე დაზარალებულების საჩივრებს. საბჭო დაკომპლექტებულია 8 პროკურორით, რომელთაგან ერთ-ერთს საბჭო ორი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარედ. საბჭო უფლებამოსილია, გამოითხოვოს და შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, საქმეზე, სადაც დადგენილია ხარვეზების არსებობა საბჭო უფლებამოსილია დააწესოს ზედამხედველობა, მასზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე და რაც მნიშვნელოვანია, საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, წინადადებით მიმართოს გენერალურ პროკურორს პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების თაობაზე.

რაც შეეხება საბჭოს საქმიანობის წესს:

საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი/საქმე, თუ საბჭოს სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. საბჭოზე განმარტებებისა და ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი პროკურორი/გამომძიებელი ან/და დანაყოფის ხელმღვანელი. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით და საბოლოოდ საქმის შესწავლის შემდეგ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება გენერალურ პროკურორს, რომელიც უფლებამოსილია არ დაეთანხმოს რეკომენდაციას. ასეთ შემთხვევაში, იგი უარს ამბობს რეკომენდაციის გაზიარებაზე ან/და დაავალებს საბჭოს დამატებით შეისწავლოს საკითხი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭო თავისი საქმიანობის ფარგლებში ორიენტირებული იქნება მაქსიმალურად ოპტიმალურ ვადებში უზრუნველყოფს საკითხის შესწავლა, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და დაზარალებულთა დროული ინფორმირება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იქნება შესწავლის პროცესის მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფა და სწორედ ამ მიზნით, საჩივრის/საქმის განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს საბჭოს/საბჭოს სამდივნოს წევრი, თუ პირადად ან მისი დაქვემდებარებული თანამშრომელი საქმეზე ახორციელებს გამოძიებას, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ან/და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას.

საქართველოს გენერალური პროკურორის ახალი სათათბირო ორგანოს ,,სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო"-ს პრეზენტაცია გაიმართა 2022 წლის 19 დეკემბერს, რომელსაც პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო სისტემის, საპროკურორო საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის ადმინისტრაციის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას საბჭოს შექმნის მიზნებისა და საქმიანობის სპეციფიკის თაობაზე. მონაწილე პირებმა საკუთარი ხედვა გაუზიარებს პროკურატურის თანამშრომლებს, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართული საბჭოს საქმიანობის პროცესში.

საბჭოს შექმნის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საბჭოს წევრი პროკურორების მონაწილეობით მომზადდა და გავრცელდა ვიდეო რგოლი, სადაც დეტალურად გადმოიცა ინფორმაცია საბჭოსადმი მიმართვის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

გენერალური ინსპექცია

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა 26 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 25 თანამშრომლის მიმართ.

მათ შორის:

- 6 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებულ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს.
- 3 თანამშრომლის მიმართ (მათ შორის ერთი თანამშრომლის მიმართ მიმდინარეობდა 2 სამსახურებრივი შემოწმება) დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს მიერ სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნის განხილვამდე, პირადი განცხადებით, დათხოვნილი იქნენ საქართველოს პროკურატურიდან.
- 6 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და მათ მიეცათ რეკომენდაცია.

- 10 თანამშრომლის მიმართ არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და შეწყდა სამსახურებრივი შემოწმება.

2022 წლის ბოლოს, გენერალური ინსპექცია, პროკურატურის თანამშრომელთა მიერ შესაძლო დისციპლინური დარღვევის ჩადენის ფაქტებზე, აწარმოებდა 25 სამსახურებრივ შემოწმებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ, როგორც საგამოძიებო დანაყოფმა, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, გამოძიება დაიწო 18 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა კი დაიწყო 3 პირის მიმართ ორ სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით - 2 პირის მიმართ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ერთი პირის მიმართ.

2022 წელს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ 3 სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა სამი პირის მიმართ:

- ✓ ერთი პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ'' და მესამე ნაწილის „ე'' ქვეპუნქტებით;
- ✓ ერთი პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- ✓ ერთი პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის საქმიანობის მთავარი მიზანი არის პროკურატურის სისტემაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყობს პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის გამართულად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას და მეორე მხრივ, საზოგადოებაში უწყების მიმართ ნდობის ამაღლებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან. ასევე საქართველოს პროკურატურა მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა ქვეყნების პროკურატურებთან. აღნიშნული თანამშრომლობა შეეხება პროკურატურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და რეფორმირების საკითხებს, მისი ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით.

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) 27-ე წლიური კონფერენცია და გენერალური შეხვედრა

2022 წლის 25-29 სექტემბერს ქვეყნის და საქართველოს პროკურატურის ისტორიაში პირველად საქართველოს პროკურატურამ უმასპინძლა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) 27-ე ყოველწლიურ კონფერენციას და გენერალურ შეხვედრას თემაზე ,გლობალური მოვლენები, რომლებმაც შეცვალეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები". ოთხდღიანი კონფერენციის ფარგლებში მსოფლიოდან წარმოდგენილმა სპიკერებმა იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა - პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობა, პროკურატურებს შორის პირდაპირი საერთაშორისო თანამშრომლობა, კოვიდ პანდემიის შედეგად

შექმნილი ინსტიტუციური გამოწვევები და საპასუხო ღონისძიებები, კიბერ დანაშაულის ტიპოლიგიების ევოლუცია, უცხო სახელმწიფოში არსებული ელექტრონული მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ფულის გათეთრება ვირტუალური აქტივების გამოყენებით, პარალელური ფინანსური გამოძიება პრაქტიკაში, ვირტუალური აქტივების მოძიება, ამოღება, დაყადაღება, გამოხატვის თავისუფლება და სოციალური მედია და სხვა პარალელური სესიები და ვორქშოფები.

2022 წლის 25-29 სექტემბერს თბილისში ჩატარებულ პროკურორთა საერთაშორისო კონფერენციას 60-ზე მეტი ქვეყნის 350 პროკურორი და გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები და აღნიშნულ სფეროში მომუშავე მაღალი დონის ექსპერტები დაესწრნენ. კონფერენციაზე სპიკერები იყვნენ და სესიებს უძვებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, ბრაზილიის, კანადის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, ბელგიის, ხორვატიის, შვედეთის, ესტონეთის, ლიეტუვას, პოლონეთის, რუმინეთის, ლუქსემბურგის, ირლანდიის, დიდი ბრიტანეთის, შოტლანდიის, სლოვაკეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, სამხრეთ აფრიკის, სინგაპურის, სამხრეთ კორეის, მალტის, თურქეთის, აზერბაიჯანის, საუდის არაბეთის, არაბთა გაერთიანებული საემიროების და სხვა ქვეყნების გენერალური პროკურორები და მათი მოადგილეები, 2022 წლის 25-29 სექტემბრის ღონისძიებაში, საქართველოს პროკურატურის სპეციალური მოწვევით მონაწილეობას იღებდნენ ევროჯასტის (EUROJUST) პრეზიდენტი, ლადისლავ ჰამრანი, ევროპის (EPPO) მთავარი პროკურორი, ლაურა კოვეში და გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორის მოადგილე ნაჟატ შამემ ხანი. საქართველოს პროკურატურა საერთაშორისო ასოციაციის ორგანიზაციული წევრია 2011 წლიდან, თუმცა ასოციაციისთან მჭიდროდ თანამშრომლობს 2014 წლიდან. ამის დასტური, არის ის რომ 2018 წლის მაისში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი არჩეული იქნა IAP მმართველობით ორგანოს -აღმასრულებელ კომიტეტის წევრად და შესაბამისად საქართველოს პროკურატურა ჩართული გახდა ასოციაციის მმართველობით საქმიანობაში თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის რომ, 2022 წლის 28 სექტემბერს, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) 27-ე წლიური კონფერენციის - სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელი IAP-ში და EUROJUST-ში გიორგი გოგაძე პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტად აირჩიეს.

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში გამართული კონფერენციები სხვადასხვა ქვეყნის პროკურატურებს შორის საუკეთესო პრაქტიკების და გამოცდილების გაზიარების, მნიშვნელოვან მიმართულებებზე სიახლეების გაცნობისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაძლიერებისთვის საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურა, IAP-თან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს.

მნიშვნელოვანი შეხვედრები

- 2022 წლის 1 აპრილს საქართველოს გენერალური პროკურატურის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით EUROJUST-ის ოფისში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს

პროკურატურასა და EUROJUST-ს შორის ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ერთობლივ ღონისძიებები, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები განიხილეს. აღსანიშნავია, რომ საქართველო EUROJUST-ის არხებს პარტნიორ ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობისათვის 2015 წლიდან იყენებს, 2019 წელს კი საქართველოსა და EUROJUST-ს შორის თანამშრომლობის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2020 წლის მარტიდან საქართველოს მუდმივი მეკავშირე პროკურორი ყავს სააგენტოში და შესაბამისად მხარეებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო ინტენსიური და მრავალმხრივია.

- 2022 წლის აპრილში საქართველოს პროკურატურის დელეგაცია ოფიციალური სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურაში იმყოფებოდა. შეხვედრის მიზანი იყო სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოების და განსაკუთრებით ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიმართულებით. შეხვედრის ფარგლებში, სომხეთსა და საქართველოს პროკურატურას შორის თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში კონკრეტული ღონისძიებების პროგრამის შემუშავებას, გამოცდილების გაზიარებას და პროკურორთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ითვალისწინებს.
- 2022 წლის 5-6 მაისს საქართველოს გენერალური პროკურორი, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების გენერალურ პროკურორებთან ერთად, ევროპის პროკურორთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა. კონფერენცია იტალიის საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურატურის, იტალიის საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 2005 წლის ივლისში მიიღო ევროპის გენერალური პროკურორების კონფერენციების რეგულარულად ჩატარების გადაწყვეტილება და დააარსა ევროპის პროკურორების საკონსულტაციო საბჭო (CCPE). აღნიშნულ საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს მაღალი დონის პროკურორებისგან, ევალება მოსაზრებების მომზადება მინისტრთა კომიტეტისთვის პროკურატურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რათა ხელი შეუწყოს პროკურატურის როლის შესახებ სისხლის სამართლის სისტემაში რეკომენდაციის შესრულებას და ევროპის მასშტაბით პროკურატურის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.
- 2022 წლის 10-17 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურატურის დელეგაცია გენერალური პროკურორის, ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გამართა ლოს-ანჯელესის მთავარ პროკურორთან ჯორჯ გასკონთან, კალიფორნიის ცენტრალური ოლქის მთავარ პროკურორთან, ოლქის პროკურორებთან და მოსამართლეებთან.
- 2022 წლის 25-29 სექტემბერს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში მიმდინარე კონფერენციაზე მყოფი სტუმრებიდან ორმხრივი სამუშაო შეხვედრები გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, შვეიცარიის კონფედერაციის, სლოვაკეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ხორვატიის, საუდის არაბეთის, სინგაპურის, არგენტინის, ბაჰრეინის, ლიეტუვას, არაბთა გაერთიანებული საემიროების, საფრანგეთის, პროკურორებთან. სამუშაო

შეხვედრები ასვე გაიმართა სპეციალური მოწვევით კონფერენციაზე დასაწრებად ჩამოსულ ევროჯასტის პრეზიდენთთან ლადისლავ ჰამრანთან, ევროკავშირის მთავარ პროკურორთან ლაურა კოვეშთან და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორის მოადგილესთან ნაჟატ შამენ ხანთან.

ორმხრივი შეხვედრების მიმდინარეობისას განხილულ იქნა სისხლის სამართლის სფეროში ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და ურთიერთანამშრომლობის გაღრმავების უზრუნველსაყოფად მომავალში განსახორციელებელი ერთობლივი აქტივობები.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა

- **ევროკავშირის პროკურატურასთან EPPO ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება**

2022 წლის 28 სექტემბერს საქართველოს პროკურატურასა და ევროკავშირის პროკურატურას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას მოეწერა ხელი.

მხარეებმა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე თანამშრომლობის, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული აქტივების დაბრუნების პროცესში მხარდაჭერის, ასევე გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე ორმხრივი შეხვედრების გამართვის მზაობა გამოხატეს. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება ევროკავშირის პროკურატურასთან თანაშრომლობის გაღრმავება ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ხსენებული უწყების კომპეტენციას განეკუთვნება (ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიამრთული დანაშულები). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პროკურატურასთან გაფორმებული შეთანხმებით საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტის შესრულების თვალსაზრისით, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის შესაბამის ორგანოებთან, მათ შორის, ევროკავშირის პროკურატურასთან ეფექტური თანამშრომლობის წარმართვას და დახმარების აღმოჩენას ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშულების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს პროკურატურისთვის ევროკავშირის პროკურატურასთან თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია და ეს მემორანდუმი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

- **ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის კომიტეტი (T-CY)**

2022 წლის ნოემბერში საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი არჩეული იქნა ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის კომიტეტის (T-CY) ბიუროს წევრად. კიბერდანაშაულის კომიტეტი კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის საფუძველზე შეიქმნა და კონვენციის ეფექტურ და ერთგვაროვან გამოყენებაზე ახორციელებს ზედამხედველობას. კომიტეტი კონვენციის მონაწილე 68 სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან შედგება. ბიურო კომიტეტის მმართველი ორგანოა, რომლის შემადგენლობაში კომიტეტის წევრებისგან არჩეული 9 პირი შედის.

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი ასევე იყო არჩეული კომიტეტის დისტანციური კომპიუტერული ჩხრეკებისა და ონლაინ ოპერატიული საქმიანობის სამუშაო ჯგუფის წევრად. სამუშაო ჯგუფმა თავისი მანდატი 2022 წლის ბოლოს სახელმწიფოების პრაქტიკის შესახებ ანგარიშის გამოცემით დაასრულა.

- **კიბერდანაშაულის შესახებ გლობალური კონვენციის შემმუშავებელი ad hoc კომიტეტი**

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი 2022 წელს აქტიურად იღებდა მონაწილეობას კიბერდანაშაულის შესახებ გლობალური კონვენციის შემმუშავებელი ad hoc კომიტეტის მუშაობაში. კომიტეტის ფარგლებში მუშაობისას, საქართველოს პრიორიტეტი იყო მომავალ კონვენციაში კიბერდანაშაულთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების, ასევე პირადი ცხოვრების უფლების, გამოხატვის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვის მყარი გარანტიების ასახვა. მოლაპარაკებების პროცესში, საქართველოსთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, კონვენციის მოქმედების არეალის მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი შეზღუდვა და კონვენციის რეგულაციების პირობებში ღია და თავისუფალი ინტერნეტის შენარჩუნება.

კიბერდანაშაულის შესახებ გლობალური კონვენციის შემმუშავებელი ad hoc კომიტეტი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2019 წელს შეიქმნა. კომიტეტი 2021 წლიდან ფუნქციონირებს და 2024 წლისთვის დაასრულებს მანდატს.

- **PC-OC, CDPC და CCPE**

საქართველოს პროკურატურა ასევე აქტიურად იყო წარმოდგენილი ევროპის საბჭოს შემდეგ კომიტეტებში: დანაშაულის პრობლემებზე მომუშავე ევროპული კომიტეტი (CDPC), სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა კომიტეტი (PC-OC) და ევროპის პროკურორების საკონსულტაციო საბჭო (CCPE).

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- **ევროკავშირთან თანამშრომლობა**

2022 წელს, საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის კანდიდატობის კითხვარის შევსებაში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. ამასთანავე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ განახორციელა ანგარიშგება და უფლებამოსილ პირებს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. გარდა ამისა, პროკურატურაში მომზადდა ანგარიში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-7 სხდომისათვის და საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ანგარიშის პროექტში პროკურატურის წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდეს ალტერნატიული ფორმულირებები, უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრებში. მაგ: ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ქვეკომიტეტის (JFS) შეხვედრა.

- **თანამშრომლობა OLAF-თან**

პროკურატურა წელსაც განაგრძობდა აქტიურ თანამშრომლობას ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF). თანამშრომლობის ფარგლებში, 2022 წელს პროკურატურამ შეასრულა OLAF-ის 2 შუამდგომლობა.

- **თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან**

საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), ევროპის მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭო (CCPE), ეუთო, NATO, UNESCO და მრავალი სხვა.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ინფორმაციის გაცვლა ხდება როგორც სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზების, ისე კითხვარების შევსების გზით.

NATO-სთან და ევროკავშირთან არსებული სამოქმედო გეგმების საქართველოს პროკურატურის ნაწილის შესრულების ანგარიში

საქართველოს პროკურატურამ მოამზადა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდა:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის საქართველოს პროკურატურის ნაწილი;
- საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის საქართველოს პროკურატურის ნაწილი.

ანგარიშგება ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით:

საქართველოს პროკურატურამ მოამზადა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდა:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 12 თვის ანგარიში;
- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში;
- საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროკურატურის ნაწილის შესრულების ანგარიში.

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები

საქართველოს პროკურატურა მუდმივად უთმობს ყურადღებას საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში იმპლემენტაციას. არსებობს სრული მზაობა მომავალში ამ ტიპის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების თაობაზე.

- **GRECO-ს ანგარიში**

2022 წლის 17 ივნისს, ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელწიფოთა ჯგუფმა (GRECO) დაამტკიცა ანგარიში საქართველოს შესახებ. მასში განხილულია GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

ანგარიშში GRECO მიესალმა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური გადაცდომების კატეგორიების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 16 მაისის ბრძანების გამოცემას და GRECO-ს შეფასებით, აღნიშნულმა ბრძანებამ უფრო ზუსტად განსაზღვრა პროკურორების დისციპლინური გადაცდომების სახეები და პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონთან ერთობლიობაში, უზრუნველყო შესაბამისი დისციპლინური სახდელების გამოყენების პროპორციულობა.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, GRECO-მ მიიჩნია, რომ სრულად შესრულდა მისი რეკომენდაცია პროკურორების დისციპლინური გადაცდომების სიცხადის და სახდელების პროპორციულობის შესახებ.

დღეის მდგომარეობით, პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გაცემული GRECO-ს მეოთხე რაუნდის შეფასების ხუთი რეკომენდაციიდან, საქართველოს პროკურატურას ხუთივე სრულად აქვს შესრულებული.

ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა

2016 წლიდან საქართველოს პროკურატურა უცხოური ონლაინ მომსახურების მომწოდებლებისგან რეგულარულად იღებს ელექტრონულ მტკიცებულებებს. ამ გზით მიღებული მონაცემები ძირითადად მოიცავს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას და ცალკეულ შემთხვევებში, ინტერნეტ ტრაფიკის (ტრანზაქციულ) მონაცემებს. დღეის მდგომრეობით საქართველოს პროკურატურა თანამშრომლობს შემდეგ კომპანიებთან: Meta Inc. (Facebook, WhatsApp, Instagram), Apple, Western Union, MoneyGram, Paypal, Viber, ByteDance (TikTok), Binance, CEX.IO, Gate.io და ViaBTC.

2022 წელს ონლაინ მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისგან 60 სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდა წარმატებული თანამშრომლობა, რაც 81%-იანი მატებაა 2021 წელთან შედარებით. ონლაინ მომსახურების მომწოდებელმა კომპანიებმა 2022 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების ~95% დააკმაყოფილეს. შედარებისთვის, კომპანია Meta Inc.-ის საშუალო გლობალური მაჩვენებელი 72.80% იყო.

2022 წლის ივნისში საქართველოს პროკურატურა EUROJUST-ისა და EUROPOL-ის ონლაინ მომსახურების მომწოდებლების საკონტაქტო პირების ქსელში გაწევრიანდა (OSP SPoC Network). ქსელის მონაწილე, საქართველოსთან ერთად, ევროკავშირის წევრი 17 ქვეყანა, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია და ისლანდია არიან. ქსელი წევრებს შესაძლებლობას აძლევს დახურულ და უსაფრთხო ელექტრონულ გარემოში ინფორმაცია გაცვალონ ონლაინ მომსახურების მომწოდებლების პოლიტიკის, რეგულაციების, საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამის სახელმწიფოებში არსებული კანონმდებლობების შესახებ. იგი ასევე ოპერატიულ დონეზე თანამშრომლობის შესაძლებლობასაც იძლევა.

თანამშრომლობა CARIN-ის ქსელთან და ევროკავშირის ქონების ჩამორთმევის ოფისების ქსელთან

საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს CARIN-ის ქსელთან და ევროკავშირის ქონების ჩამორთმევის ოფისების ქსელთან. აღნიშნული ქსელები ევროკავშირის მასშტაბით აერთიანებენ პრაქტიკოსებს, რომლებიც უშუალოდ საქმიანობენ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე. მოცემული ქსელის ფარგლებში

ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ოპერატიულ დონეზე, რაც თავის მხრივ, გამოძიებას აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ დაგეგმოს და წარმართოს კონკრეტული სახის ღონისძიებები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნების მიზნით. მაგალითისთვის, 2022 წლის განმავლობაში, საქართველოს პროკურატურამ CARIN-ის ქსელის საშუალებით მიიღო და შესაბამისი რეაგირება მოახდინა უცხო სახელმწიფოს 11 თხოვნაზე, ხოლო შესაბამის უცხო სახელმწიფოებში გააგზავნა 8 ანალოგიური თხოვნა.

ექსტრადიცია

2022 წელს უცხო სახელმწიფოებში გაიგზავნა ექსტრადიციის 15 შუამდგომლობა, რაც წინა წლის მაჩვენებლისგან არსებითად არ განსხვავდება.

რაც შეეხება საქართველოდან უცხო სახელმწიფოებში პირების ექსტრადიციას, 2022 წელს, სულ 66 ექსტრადიცია იქნა დასაშვებად ცნობილი და 75 ახალი საქმის ინიცირება მოხდა, რაც არსებითად არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან.

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება

2022 წელს საქართველოს პროკურატურამ უცხო სახელმწიფოებისგან საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების 1617 შუამდგომლობა მიიღო, რაც 17%-იანი ზრდაა 2021 წლის მონაცემთან შედარებით.

2022 წელს, საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისთვის 181 საქმეზე მიმართეს უცხო სახელმწიფოებს, რაც 2021 წლის მონაცემისგან არსებითად არ განსხვავდება. თუმცა მცირედი კლების ძირითადი მიზეზი სამართლებრივი დახმარების ალტერნატიული და ნაკლებად ბიუროკრატიული საშუალებების გამოყენების ზრდას. ასეთი საშუალებები კი არის ელექტრონული მონაცემების პირდაპირ გამოთხოვა უცხო ქვეყნების ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებისგან, ცალკეულ ქვეყნებში მოწმეების დისტანციური გამოკითხვა სამართლებრივი დახმარების გარეშე და საპროცესო დოკუმენტების ჩაბარება უცხოეთში მყოფი პირებისათვის პირდაპირ, საფოსტო გზავნილით.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

2022 წელს საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 5274-მა მოქალაქემ. მათ შორის, 2829 იყო სრულწლოვანი დაზარალებული, 156 - არასრულწლოვანი დაზარალებული, 1064 - სრულწლოვანი მოწმე, 74 - არასრულწლოვანი მოწმე, 597 განმცხადებელი, 554 - სხვა პირი. 2021 წელს აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 5280 პირს. 2021-

2022 წლების მონაცემების შედარებით დგინდება, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში თითქმის თანაბარია პირთა რაოდენობა, რომლებმაც წლის განმავლობაში ისარგებლეს კოორდინატორის სამსახურით.



2022 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:[10]



2022 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 11' და 126' მუხლებით დაკვალიფიცირებულ სისხლის სამართლის 1454 საქმეში.

[10] შენიშვნა: მონაცემები დათვლილია დანაშაულების/პირების მიხედვით და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას.

2022 წელს კოორდინატორების მიერ სულ განხორციელდა 18 556 აქტივობა. მათ შორის, კოორდინატორები დაესწრნენ დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ 212 საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას.

მოწმისა და დაზარალებულისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კოორდინატორები შეხვდნენ 918 დაზარალებულს/მოწმეს და მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრნენ 172 სასამართლო პროცესს.

2022 წელს მოქალაქეთა (მათ შორის, მოწმე/დაზარალებული) მხრიდან სულ დაფიქსირდა 3766 მოთხოვნა/შეკითხვა. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი იყო გამოძიებასთან ან პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროკურორთან შეხვედრა, შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება/რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

კოორდინატორის სამსახურის რესურსის და კანონის მიზნიდან გამომდინარე, პროკურორები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას ძირითად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომლიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

2022 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 29 სტრუქტურულ ერთეულში, 365 დაზარალებულთან. მათ შორის, კოორდინატორის რესურსი გამოიყენეს იმ სტრუქტურულმა ერთეულებმაც, სადაც არ ჰყავთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ 365 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 237 (65%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 65 (18%) მშობელი, 34 (9%) შვილი და 8% სხვა.

ბრალდებულისა და დაზარალებულის ნათესაური კავშირი



365 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორებმა შესთავაზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 154-მა (42%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 211-მა (58%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით.

შეთავაზებაზე დაზარალებულის პასუხი



211 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან

კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 56-მა დაზარალებულმა, კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ მისცა 105-მა, 12 მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 38 დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო სხდომა.



56 დაზარალებულის საქმეზე (რომლებმაც კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება) ანგარიშის დამუშავების დროისათვის, 35 შემთხვევაში დასრულებული იყო სასამართლო განხილვა. აქედან, 31 შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 4 შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი.

პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა რესურსის გამოყენებით, მათი მაქსიმალური ჩართულობით, მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმამდე მოხდეს მათი ინფორმირება მოსალოდნელი შედეგების, ხელახალი ვიქტიმიზაციის არსებული საფრთხეების თაობაზე და ასევე მაქსიმალურად გამოირიცხოს არაინფორმირებული ან დაზარალებულზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების მიზეზით, დაზარალებულის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება.

პროკურატურა 2023 წლის განმავლობაში აქტიურად გააგრძელებს მუშაობას კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების და დაზარალებულთა ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საჯარო ინფორმაციის გაცემა

საქართველოს პროკურატურაში 2022 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 394 განცხადება.

2022 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები



საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- 39 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მოთხოვნა უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას;
- 9 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა კანონის განმარტებას და სცილდებოდა საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილების ფარგლებს;
- 18 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იყო სხვა პირის პერსონალური მონაცემები და აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის უარი ეფუძნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37[1] და 44-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის ინტერესს;
- 24 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურაში დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას.

2022 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო წარდგენილი იყო 5 ადმინისტრაციული საჩივარი, საიდანაც 1 დაკმაყოფილდა, 1 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 2 არ

დაკმაყოფილდა, ხოლო ერთს განხილვაზე ეთქვა უარი, ვინაიდან უკვე გაცემული იყო მოთხოვნილი ინფორმაცია.
საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარდგენილია და მიმდინარეობს ერთი სარჩელის განხილვა.
განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლების მოთხოვნებს.
საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2022 წელს არ გამოვლენილა.
საქართველოს გენერალური პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება

საქართველოს პროკურატურისთვის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოებისთვის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით, ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში გავრცელებული პრესრელიზების, ვიდეოკომენტარების და ჩატარებული ბრიფინგების რაოდენობა.

- 2020 წელს საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა 334 პრესრელიზი, ჩაატარა 14 ბრიფინგი და გააკეთა 27 ვიდეო კომენტარი/ვიდეოკლიპი.
- 2021 წელს პროკურატურამ გაავრცელა 365 პრესრელიზი, ჩაატარა 16 ბრიფინგი, გააკეთა 59 ვიდეოკომენტარი/ვიდეოკლიპი და გაავრცელა 42 ვიდეო მასალა.
- 2022 წელს საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა 490 პრეს-რელიზი, 86 ვიდეო კომენტარი, 91 ვიდეო მასალა და ჩაატარა 14 ბრიფინგი.

ციფრული ტრანსფორმაცია

გამოძიების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება.

<u>რ</u>ოგორც ცნობილია საქართველოს პროკურატურის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ელექტრონული მმართველობის სააგენტოს“ ერთობლივი, მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც 2019 წლის ნოემბრიდან ეტაპობრივად ამოქმედდა და დღეისათვის უკვე გამოიყენება საქართველოს

პროკურატურის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო დანაყოფებში.

აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დახვეწა ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით იგეგმება:

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილების გამიჯვნასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ციფრული ჰარმონიზაცია;
- საერთო სასამართლოებში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ინტეგრაცია.

ორივე ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზაცია, როგორც ფუნქციონალურად, ასევე ანალიტიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დახვეწავს და გააძლიერებს სისხლის სამართალწარმოების სფეროში დღეს არსებულ შესაძლებლობებს და მოახდენს გამოძიების დაწყებიდან მართლმსაჯულების დასრულებამდე პროცესის უწყვეტ გაციფროვნებას. გარდა ამისა, საგამოძიებო და სასამართლო სისტემებს შორის ინტეგრირებული ციფრული პროდუქტი დაზოგავს უდიდეს ადამიანურ და ლოჯისტიკურ რესურსებს, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეთა ფაილური (დოკუმენტური) სისტემით მოძრაობასთან.

ანალიტიკური პორტალის მოდერნიზაცია

პროკურატურაში ფუნქციონირებს ციფრული პროდუქტი - ანალიტიკური პორტალი, რომელზე წვდომაც პროკურატურის თანამშრომლებს ლოკალური ქსელის საშუალებით შეუძლიათ და რომელიც პროკურატურის თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვან და პრაქტიკულად გამოყენებად ინფორმაციებს მოიცავს. ამჟამად მიმდინარეობს შიდა ციფრული პორტალის ,,ინტრანეტის“ განახლების პროცესი, რომელიც კიდევ უფრო მეტად საჭირო ინფორმაციის ამსახველი იქნება და უფრო აქტიურად გამოყენებადი პროკურატურის თანამშრომლებისთვის.

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო მოტივაცია უწყების საქმიანობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და სამსახურებრივი საქმიანობისთვის საჭირო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობებით აღჭურვა. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პროკურატურაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2022 წლის ცხრა თვეში სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სამტრედიის, ზესტაფონის, ფოთის და ზუგდიდის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციულ შენობებში.

რაიონული პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი და განახლებული სამუშაო სივრცე.

2022 წელს განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის II და III სართულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღნიშნულ სართულებზე განთავსებულია სხვადასხვა დეპარტამენტები, შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

მწვანე ოფისის კონცეფციის დანერგვის და ბუნებრივი რესურსების მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით, გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობის სახურავზე მზის ენერგიის პანელები დამონტაჟდა. პროექტი ლიეტუვურ კომპანია „UAB OKATA“-ს, მისი ადგილობრივი პარტნიორის შპს ,,სოლარ ენერჯი ჯორჯიას“ და საქართველოს პროკურატურას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა. აღნიშნული პროექტის შედეგად, წლის განმავლობაში, მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასური 50 000 ლარი დაიზოგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნული პროექტის მიზანია მწვანე ოფისის კონცეფციის დანერგვა, ნახშირორჟანგის (C02) ემისიის შემცირება, ბუნებრივი რესურსების ოპტიმიზაცია და კომუნალური ხარჯების შემცირება.

საქართველოს პროკურატურა სამომავლოდაც გეგმავს სხვა ადმინისტრაციული შენობების ანალოგიური მზის ენერგიის პანელებით აღჭურვას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს, აღნიშნული პროექტი ხარჯების დაზოგვის და გარემოზე ზრუნვის პოლიტიკის ერთობლივი კომპონენტია.

2022 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განახლდა და გარემონტდა სპორტული და სავარჯიშო დარბაზები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს სპორტულ აქტივობას და მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად ინფრასტრუქტურული პროექტების მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია სოციალური გარანტიები და შრომის ანაზღაურება. 2018-2022 წლებში პროკურორებზე, გამომძიებლებზე და სხვა თანამშრომლებზე მოხდა თანამდებობრივი სარგოს ზრდა 50-80 %-ით. ხელფასის ზრდის მიზანი არის პროკურატურის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სოციალური გარანტიების მოსამართლეთა სოციალურ გარანტიებთან გათანაბრება. შესაბამისად, თანამშრომლების შრომის ანაზღაურების გაზრდა 2023 წელსაც იგეგმება.

საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება

2022 წლის 25 თებერვალს საპროკურორო საბჭომ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს. საბჭოს რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა კერძოდ,

- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმოს ტრეინინგები გამომძიებელთა და პროკურორებისათვის. ამავდროულად, შედგეს შესაბამისი სახელმძღვანელო, სადაც გაწერილი იქნება ის ძირითადი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია ამ ტიპის დანაშაულის გამოსავლენად.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2022 წელს საქართველოს პროკურატურაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და როგორც ზევით არის აღნიშნული 2022 წლის ივნისში, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტში სპეციალიზირებული დანაყოფი - კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო შეიქმნა. სპეციალიზირებული დანაყოფის ჩამოყალიბების პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შეიქმნა ციფრული გამოძიების სპეციალური ლიცენზირებული პროგრამით და დაკავშირებული საჭირო ტექნიკით აღჭურვილი ციფრული ლაბორატორია.

კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით და დახმარებით, 2022 წელს შეიმუშავა ვირტუალური აქტივების ამოღების შესახებ სახელმძღვანელო, რომელიც შექმნის მიზანია სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს, გამომძიებლებს, ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მისი ამოღება წარმატებით მოახდინონ. ვირტუალური აქტივების სახელმძღვანელოში განხილულია ის საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც დაეხმარება პროკურორებს და გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით, ეფექტიანად ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები. აღნიშნული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია 2022 წლის 25 მაისს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა. კიბერდანაშაულის თემაზე განხორციელდა არაერთი სასწავლო აქტივობა და პროკურორები და გამომძიებლები დაესწრნენ ათამდე ტრენინგს, რომელთა შორისა ტრენინგები: „ფინანსური გამოძიება, კრიპტოვალუტა და დარქნეტი“, "კრისტალ ბლოკჩეინის კრიპტოს მიდევნების ტრენინგი", “კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერდანაშაულის საკითხები“, „მავნე კოდისა და ლოგების ანალიზი“, ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ელექტრონული მტკიცებულებები“, ასევე სამუშაო შეხვედრა „კრიპტოვალუტის რისკები და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.

- ფინანსური გამოძიების ეფექტიანობის გაზრდისა და არსებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, რეკომენდირებულია პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის შემუშავდეს სახელმძღვანელო პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება გათვალისწინებული ჩასატარებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. სახელმძღვანელოს მიღების შემდეგ, თანამშრომლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრეინინგები და გადამზადნენ საკითხის ირგვლივ.

2022 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითება პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება /ჩამორთმევის, ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესებას და ასევე, პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. დოკუმენტი განკუთვნილია საგამოძიებო ორგანოების იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ახდენენ მატერიალური სარგებლით მოტივირებული დანაშაულების ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების გამოძიებას ან საპროცესო ზედამხედველობას. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს პროკურატურაში დაწყებულია პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების პროცესი. პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია 2022 წლის 20 სექტემბერს გაიმართა.

- სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტების პროკურორების მიერ პრაქტიკაში იმპლემენტაციის და აღნიშნულ სფეროში პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგები, განხორციელდეს სტრასბურგის სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებების ანალიზი და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო. გაძლიერდეს მოხელეთა და მოხელეებთან გათანაბრებული პირების მიერ არასათანადო მოყრობის ფაქტების შესახებ არსებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. 2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში მონიტორინგს დაექვემდებარა, როგორც საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოების ასევე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და ექსპერტული ჩართულობით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პროკურორებისთვის შეიქმნა სახელმძღვანელო- „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პრინციპები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით“. სახელმძღვანელში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, გაკეთებულია გადაწყვეტილებების ანალიზი და ტენდენციები დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშნებით წარმოებულ საქმეებზე. აღნიშნული სახელმძღვანელო პირველად პროკურორებს წარედგინათ 2022 წლის 19 ივლისს და ამჟამად აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში სპეციალიზებული პროკურორების მიერ.

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურორებისთვის ჩატარდა არაერთი ტრენინგი აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების და

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

- უწყვეტი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს სახელმძღვანელო წესები პროკურორებისათვის. მაქსიმალურად გაიზარდოს საქართველოს პროკურატურის ჩართულობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამართულ, ე.წ. „ბენჩ-ბარის“ ფორმატის შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 14 დეკემბერს მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში უწყვეტი სასამართლო განხილვის პრინციპის გამოწვევებზე გაიმართა პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატების შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ჩართულობით BENCH&BAR მონაწილე მხარეების მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2022 წელს გამართა ორი სამუშაო შეხვედრა, უწყვეტი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავების საკითხზე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი განაგრძობს მუშაობას.

2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის პირველადი ვერსია წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს. საბჭოს სხდომაზე მოსმენილი შენიშვნები და წინადადებები აისახა სტრატეგიის პროექტში, რის შემდგომაც პროექტის საექსპერტო შეფასება განახორციელეს ევროსაბჭოს ექსპერტებმა. დოკუმენტზე შენიშვნები და რეკომენდაციები ასევე მოამზადა აშშ-ს საელჩოს მართლმსაჯულების დეპარტამენტმა. სტრატეგიის არსებული დოკუმენტი ასევე წარედგინათ პარტნიორი უწყებებისა, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც გაეცნენ ახალი სტრატეგიით გათვალისწინებულ, პროკურატურის შემდგომი განვითარების და რეფორმირების გეგმას. შეხვედრის მონაწილე პირების და უწყებების მიერ პროკურატურას მოეწოდა მოსაზრებები სტრატეგიის არსებულ პროექტთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილი ასახული იქნა სტრატეგიის დოკუმენტში.

2022 წლის 9 მარტს 2022-2027 წლების სტრატეგია წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი პროკურატურის სტრატეგიის დამტკიცებას.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია ორმხრივ მიდგომას ეფუძნება და მოიცავს როგორც ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის, ასევე ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების საკითხებს.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია შედგება **ხუთი სტრატეგიული მიზნისაგან**:

- საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;
- ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესება;
- საზოგადოების ნდობის ამაღლება.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება სტრატეგიის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა, რამდენადაც იგი უკავშირდება პროკურატურის უმთავრეს ფუნქციას. სამართლებრივი სისტემის სწორი ფუნქციონირება დიდწილადაა დამოკიდებული საპროკურორო საქმიანობის ხარისხზე. სწორედ პროკურორის მაღალ კვალიფიკაციასა და მორალურ მზაობაზეა დამოკიდებული დისკრეციული დევნის მექანიზმის სწორად, კანონიერად და სამართლიანად გამოყენება, საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში მტკიცებულებების კანონიერი გზით მოპოვების კონტროლი, მტკიცებულებების მაღალპროფესიონალური გზით წარდგენა და გამოკვლევა სასამართლოში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტიან აღსრულებას, სასჯელის მიზნების შესრულებას, დანაშაულის შემცირებას და საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს, როგორიცაა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისა და საპროკურორო დოკუმენტაციის ხარისხის ამაღლება, მსხვერპლთა დაცვაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება, საპროცესო შეთანხმების ეფექტიანობის ზრდა, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება, ასევე საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების გამიჯვნის ხელშეწყობა.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში პრიორიტეტულად ცხადდება ისეთ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, როგორიცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, კორუფციული დანაშაული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, სქესობრივი დანაშაული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაული, ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული და ეკოლოგიური დანაშაული. ამავდროულად, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში გაძლიერდება მუშაობა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მიმართულებით.

იმის გათვალისწინებით, რომ შეუქცევადად იზრდება ისეთ დანაშაულთა რიცხვი, რომლის ჩადენის ფარგლები ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდება, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის ფარგლებში იგეგმება სამართლებრივი დახმარებისა და ექსტრადიციის პროცესის გაუმჯობესება, სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის გაფართოება, დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და დაბრუნების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდა, ასევე ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდა.

პრიორიტეტულ მიზნადაა გამოცხადებული პროკურატურის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას, პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციისა და სამუშაო გარემოს

გაუმჯობესებას, თანამშრომელთა შერჩევისა და როტაციის სისტემის გაუმჯობესებას, განგრძობადი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას, გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესებასა და „მწვანე ოფისის“ კონცეფციის დანერგვას.

საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის ამაღლება, რის გამოც აღნიშნული საკითხი ახალი სტრატეგიის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროკურატურის მუშაობა არა მხოლოდ ობიექტურად იყოს კანონშესაბამისი, სამართლიანი, მიუკერძოებელი და მაღალკვალიფიციური, არამედ იგი ამგვარადვე აღიქმებოდეს საზოგადოების თვალში. აღნიშნულიდან გამომდინარე სტრატეგიის მოქმედების პერიოდში საქართველოს პროკურატურა გააძლიერებს კომუნიკაციას საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებთან, ამავდროულად საზოგადოებასთან კომუნიკაციით უზრუნველყოფს პროკურატურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას.

სტრატეგიის შესრულების უზრუნველსაყოფად შემუშავდება სამი 2022-2023, 2024-2025 და 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა. ამავდროულად, დანერგილია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად მომზადდება სტრატეგიის შესრულების პროგრეს-ანგარიში. შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი.